*P-ISSN 1987-7668 / E-ISSN 2720-782X*
*https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9280*
*ლიცენზია: CC BY-SA*

**გიორგი ქირია***

# დიფამაცია როგორც მიუღებელი შემოსავალი

*დიფამაცია როგორც მიუღებელი შემოსავალი, საკმაოდ პრობლემური საკითხი აღმოჩნდა, რამაც მის აქტუალურობას გაუსვა ხაზი. დიფამაციის მიმართულებით სასურველი იქნებოდა უფრო მეტი ქართულენოვანი ლიტერატურა ან თუნდაც სტატიები შექმნილიყო. უცხოურ კანონმდებლობასა და ანალიტიკურ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დიფამაციასა და ცილისწამებას შორის სხვაობა დიდია. აქვე, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ სხვაობის გაქრობა, დიდი ალბათობით, გამოიწვია საქართველოში ცილისწამების დეკრიმინალიზაციამ, რამაც საბოლოოდ ცილისწამება და დიფამაცია ტერმინოლოგიურად გაუტოლა ერთმანეთს.*

*კარგი იქნებოდა გააზრებულიყო ცილისწამების, როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაულის მნიშვნელობა, რისი საქართველოში დეკრიმინალიზაციით მართალია მეტად გარანტირებული გახდა სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების უფლება, თუმცა აღნიშნულზე დაყრდნობით ადამიანის პატივისა და ღირსების გამტეხი ინფორმაციის გავრცელების აკრძალვის დაწესების უგულებელყოფა მიუღებელია.*

*სამეცნიერო სტატიის მიზანია დღესდღეობით აქტუალური და პრობლემური საკითხის, კერძოდ კი დიფამაციის როგორც მიუღებელი შემოსავლის ერთ-ერთი წინაპირობის ბუნების შესწავლა, ასევე პრობლემების გადაჭრის ავტორისეული გზების დასახვა.*

*წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს დიფამაციის, როგორც მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი ბუნების, დოქტრინისა და სასამართლოს პრაქტიკის შესწავლა.*

*ნაშრომის შექმნის პროცესი, ძირითადად, არის დოქტრინალური ტიპის, სადაც გამოყენებულია კრიმინოლოგიური კვლევის შემდეგი მეთოდები: დოკუმენტური; შედარებით სამართლებრივი; დესკრიფციული; ისტორიულ-სამართლებრივი და სისტემური.*

***საკვანძო სიტყვები:*** *დიფამაცია, ცილისწამება, მიუღებელი შემოსავლი, პატივი, ღირსება, სამსახურებრივი რეპუტაცია.*

## 1. შესავალი

დიფამაცია როგორც მიუღებელი შემოსავალი, საკმაოდ პრობლემური საკითხია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ვფიქრობ, სამეცნიერო სტატიად შერჩეული ეს თემა აქტუალურ საკითხს ეხება. როგორც ცნობილია, 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიურმა წინსვლამ და ინტერნეტ სივრცის განვითარებამ გაზარდა ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვის რისკები, ზოგჯერ სიტყვისა და გამოხატვის უფლებაზე აპელირებით ადამიანის პატივსა და ღირსებას მნიშვნელოვანი ზიანი ადგება, რაც ხშირად შემოსავლის მიუღებლობით სრულდება. საქართველოში, სადაც ამ მიმართულებით, ერთი მხრივ, ნაშრომები არც

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საგანმანათლებლო ორგანიზაცია „ცოდნის მაძიებლები" მოწვეული ლექტორი, საქართველოს სტუდენტური პარლამენტის მოწვეული ლექტორი.

ისე უხვად არის, მეორე მხრივ კი, საკმაოდ ბევრ დავას ვხვდებით სასამართლო პრაქტიკაში, საჭიროა საფუძვლიანად დამუშავდეს დიფამაციის, როგორც მიუღებელი შემოსავლის საკითხი. ასევე ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, მას შემდეგ რაც ცილისწამების დეკრიმინალიზაცია განხორციელდა ფაქტიურად ზღვარი აღარაა გავლებული დიფამაციასა და ცილისწამებას შორის, განსხვავებით საფრანგეთისა და გერმანიისაგან. ამიტომაც ამ თემის გარშემო ყოველთვის არსებობს კითხვები რაც მის აქტუალურობაზე მეტყველებს.

ადამიანის პატივისა და ღირსების უფლების დარღვევის დროს ჩნდება კითხვები: რა არის დიფამაცია? რა განსხვავებაა დიფამაციასა და ცილისწამებას შორის? რით შეიძლება იყოს განპირობებული პატივისა და ღირსების შელახვა? არსებობს თუ არა ისეთი ანგარიშგასაწევი სამართლებრივი სიკეთე რომელიც გადაწონის ადამიანის პატივსა და ღირსებას? რამდენად შეიძლება იყოს დიფამაცია მიუღებელი შემოსავლის ერთ-ერთი წინაპირობა? დიფამაციის დროს არსებობს თუ არა თანასწორი მიდგომა საჯარო და კერძო პირების მიმართ? როგორია დიფამაციად კვალიფიკაციის კრიტერიუმები? როგორია უცხოური პრაქტიკა დიფამაციის მიმართ? რა დამოკიდებულება აქვს ქართულ სასამართლო პრაქტიკას დიფამაციაზე? ნაშრომში წინამდებარე კითხვებზე პასუხის გაცემა ნაცადია უცხოური და მცირე რაოდენობით არსებული ქართული ლიტერატურის დამუშავების გზით, ასევე უხვი ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის სისტემური დამუშავების გზით.

სამეცნიერო სტატიის მიზანია დღესდღეობით აქტუალური და პრობლემური საკითხის, კერძოდ კი დიფამაციის როგორც მიუღებელი შემოსავლის ერთ-ერთი წინაპირობის ბუნების შესწავლა, ასევე პრობლემების გადაჭრის ავტორისეული გზების დასახვა.

წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს დიფამაციის, როგორც მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი ბუნების, დოქტრინისა და სასამართლოს პრაქტიკის შესწავლა.

ნაშრომის შექმნის პროცესი, ძირითადად, არის დოქტრინალური ტიპის, სადაც გამოყენებულია კრიმინოლოგიური კვლევის შემდეგი მეთოდები: **დოკუმენტური** – სპეციალური კანონმდებლობის, ლიტერატურის და ანალიტიკური მასალის დამუშავებისას; **შედარებითსამართლებრივი** – განსხვავებული სამართლებრივი სისტემებისა და ინსტიტუციების ურთიერთმიმართებისას; **დესკრიფციული** – დიფამაციის როგორც მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი მექანიზმების დახასიათებისას; **ისტორიულ-სამართლებრივი –** სამართლებრივი წესების და ნორმების განვითარების ეტაპების დამუშავებისას; **სისტემური –** სასამართლო პრაქტიკის და ნორმის თეორიული პრინციპების დამუშავებისას.

აღსანიშნავია, რომ თემის წერისას გამოყენებულია საველე კვლევის ტიპიც, კერძოდ კი ინტერვიუს ჩატარების პროცესში.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ნაშრომი შედგება ხუთი ძირითადი დანაყოფისაგან და ქვედანაყოფებისაგან. პირველ დანაყოფში მოცემულია შესავალი, მეორეში მკითხველი გაეცნობა დიფამაციის ადგილს სამართლის სისტემაში; მესამეში პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გამოქვეყნების მიმართ არსებულ უცხოურ პრაქტიკას; მეოთხეში – სახელისგამტეხი ცნობების გაჟღერებით დამდგარი ზიანის სახეებსა და მისგან დაცვის საშუალებებს; მეხუთეში – დიფამაციის ადგილს სოციალურ მედიაში. სტატიის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა.

## 2. დიფამაციის ადგილი სამართლის სისტემაში

### 2.1. დიფამაციის ტერმინოლოგიური მნიშვნელობა ანტიკურობიდან დღემდე

ტერმინი ცილისწამება ლათინური "diffamare"-დან, ანუ „ჭორების გავრცელებიდან/სახელის გატეხვიდან" მომდინარეობს.[1] დღეისობით ტერმინი დიფამაცია, ჩვეულებრივ გამოიყენება ცილისწამების აღსაწერად. ეს შეიძლება მოხდეს ლანძღვა-გინების გამოყენებით ან სხვადასხვა ინსინუაციებით. ცილისწამების მეთოდები შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ხასიათისა და ყოველთვის მიზნად ისახავს დაზარალებული ადამიანის გაჩუმებას ან თუნდაც განადგურებას (სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით). ყველასათვის ცნობილი ტერმინი „ადამიანის ბულინგი", ვლინდება და ხასიათდება საჯარო ცილისწამებით.[2]

ცილისწამებას დიდი ადგილი ეკავა ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაში და ხშირად აზიანებდა ადამიანების რეპუტაციას. ცილისწამება ბერძნულ ლიტერატურაში შეჯამებულია **ლიბერმანის** მიერ, რომელიც თავის ლექსიკურ ჩანაწერში „ბერძნულ ინვექტივის შესახებ" – სათაურით, ცილისწამებად განიხილავს ისეთ ტექსტებს, როგორიცაა ბერძნულ იამბო, სატირულ ლექსი, ძველი კომედია და ატიკური მოლაპარაკების სასამართლო გამოსვლები.[3] ცილისწამებასთან დაკავშირებით, **კოსტერი** ამახვილებს სხვა სპექტრს, რომელიც ასევე განიხილავს სატირას, ეპიგრამასა და ეპოდს ცილისწამების ჟანრებად.[4]

ქართული სამართლის ისტორიაში, ცილისწამება და მისი დეფინიცია მოცემულია ბაგრატ კურაპალატის სამართლის ნორმაში (ბექა-აღბუღას სამართლის 120-ე მუხლი) „ცილისა წამებისა ასრე არს: თუ მართალსა კაცსა ასმიოდეს, საყვედური განმრავლდეს, თუ მტერობით შეეყივლოს, მაშინ ფიცოს, -არა ზედააც. თუ არა ფიცოს სისხლი ზღოს." ნორმის თანახმად, კანონმდებელი ცილისწამების ცნებაში დასმენასაც მოიაზრებდა, სხვა ჩამოთვლილ ქმედებებთან ერთად. დამნაშავე კი ისჯებოდა სისხლის ფასის გადახდით. ამდენად, ცილისწამება არის ვინმესთვის რაიმეს უსაფუძვლოდ დაბრალება.[5]

ისტორიური კვლევის მეთოდიდან გამომდინარე, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს დიფამაციის გარშემო არსებული საკითხები ანტიკურობიდან დღემდე, რაც თავს უყრის, როგორც დიფამაციის წარმოშობისა და განვითარების ეტაპებს, ასევე ქართული სამართლის უძველესი სამართლებრივი ძეგლების მაგალითზე განიხილავს ცილისწამების საკითხს.

### 2.2. ცილისწამების, როგორც პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გამოქვეყნების არსი და მნიშვნელობა

ცილისწამების საკანონმდებლო რეგულირებას შეიცავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე" პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ცილისწამება არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენე-

---

1 *Amerasinghe A.,* Ranjit B., Defamation in the Law of South Africa and Ceylon, H.W. Cave, Colombo 1969, 43-44.

2 *Siegfried J.*, Sprachliche Gewalt gegenüber Minderheiten: Formen der sprachlichen Diffamierung in den Medien und im politischen Diskurs. In: Der Deutschunterricht., Bd. 59, H. 5, 2007, 11–21.

3 *Liebermann* 1998, 1050. Nisbet, 1961, 192.

4 *Koster* 1980.38. Opelt, 1965, 13.

5 *სურგულაძე ი.*, ქართული სამართლის ისტორია 2014, 112.

ბელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა.[6] კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავს კერძო და საჯარო პირის ცილისწამებას.

სოციალურ მედიაში ცილისწამების სხვადასხვა ფორმით გავრცელებას შეიძლება შევხვდეთ[7], კერძოდ კი შესაძლებელია ეს უკანასკნელი გამოიხატოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით, უფრო კონკრეტულად კი პოსტის ან ვიდეოს სახით.[8] ასეთ დროს პირველ რიგში უნდა განისაზღვროს ადრესატის სამართლებრივი სტატუსი, მაშასადამე უნდა დადგინდეს ეს გავრცელებული ინფორმაცია ეხება კერძო თუ საჯარო პირს.[9]

„სიტყვისა და გამოხატვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „კ" ქვეპუნქტის მიხედვით, „ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი, ან ადმინისტრაციული ორგანო" არის კერძო პირი;[10]

ამავე კანონის პირველი მუხლის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯაროა პირი, რომელიც „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე;[11] პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება;[12]

კერძო პირის ცილისწამებისათვის პირს მხოლოდ მაშინ ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა, თავის მხრივ ეს ზიანი შეიძლება გამოიხატოს მიუღებელ შემოსავალშიც.[13]

საჯარო პირის ცილისწამებისათვის პირს მაშინ ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.[14]

---

6 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე" პუნქტი.

7 *Brosius H., Dirk E.,* The Causes of Third-Person Effects: Unrealistic Optimism, Impersonal Impact, or Generalized Negative Attitudes Towards Media Influence?, 8(2) International Journal of Public Opinion Research, 1996, 142.

8 *Arend P.S.,* Defamation in an Age of Political Correctness: Should a False Public Statement that a Person is Gay be Defamatory? 18 North Illinois University Law Review, 1997, 99.

9 *Zimmermann R.,Whittaker S.*, Good Faith in European Contract Law. Cambridge: Cambridge University, 2000, 87.

10 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „კ" პუნქტი.

11 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი" პუნქტი.

12 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=7> [15.06.2025].

13 *Balkin R., Davis j.,* Law of Torts, 4th edn, LexisNexis 2008, Bezanson, Randall P. and Kathryn L. Ingle, Plato's Cave Revisited: The Epistemology of Perception in Contemporary Defamation Law, 90(3) Dickinson Law Review, 1986, 585.

14 *Arend P.S.,* Defamation in an Age of Political Correctness: Should a False Public Statement that a Person is Gay be Defamatory?, 18 North Illinois University Law Review, 1997, 99.

## 2.3. დიფამაციასა და ცილისწამებას შორის არსებული სხვაოებები და მსგავსებები

ლათინურიდან **diffamatio** განიმარტება, როგორც ხმის გავრცელება, საიდუმლოს გაცემა – მასმედიაში გამონაგონის, მადისკრიმინირებელი ინფორმაციის გავრცელება კონკრეტული ადამიანისა თუ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიმართ.[15] დიფამაცია ცილისწამებას ენათესავება[16], მაგრამ მისგან ორი ნიშნით განსხვავდება:

1) დიფამაცია არის დამალული და ვიღაცისთვის სასირცხვილო ფაქტების გახმაურება მხოლოდ მედიაში, მაშინ, როდესაც ცილისწამება შეიძლება განხორციელდეს როგორც მედიის, ისევე ვერბალური საშუალებით, სიტყვებით, ანდა სხვა წერილობით ფორმით.
2) დიფამაციის შემთხვევაში დანაშაული მდგომარეობს ვიღაცისთვის სასირცხვილო ფაქტების გამომზეურებაში, განურჩევლად იმისა, შეესაბამება თუ არა ისინი სიმართლეს.[17] ცილისწამება კი ყოველთვის განიხილება როგორც გამონაგონის, ცრუ ამბების განზრახ გავრცელების მცდელობა.[18]

დიფამაციის კონტექსტში ბანალური ჭორის დაყრა იგულისხმება, რომელშიც შესაძლოა, ცილისწამებისგან განსხვავებით, სიმართლის გარკვეული დოზაც ერიოს.[19]

დიფამაცია წარმოადგენს პიროვნების რეპუტაციის შელახვას მედიაში სიტყვებით, ნაწერებით ან ჟესტებით, რომლებიც აღძრავს, მაგალითად, ზიზღს, დაცინვას, სიძულვილს ან თუნდაც დაცინვას. [20]

პროფესორ ჟ. პინოს[21] აზრით, დიფამაციის სამი ტიპი არსებობს:

1) როცა ამბობ ან წერ უსიამოვნო ან არახელსაყრელ რაღაცეებს სხვა ადამიანზე იმის გაგებით, რომ ეს მცდარია.
2) როცა ამბობ ან წერ უსიამოვნო ან არახელსაყრელ რაღაცეებს სხვა ადამიანზე, მაშინ როცა უნდა იცოდე, რომ ისინი სიმართლეს არ შეესაბამება.
3) როცა სხვა ადამიანზე უსიამოვნო ან არახელსაყრელ რაღაცებს ასაჯაროვებ საპატიო მიზეზის გარეშე.[22]

იმისათვის რომ გაჟღერებული ინფორმაცია არ ჩაითვალოს დიფამაციად, ეს უკანასკნელი უნდა იყოს რეალური და საპატიო მიზეზით გაჟღერებული.[23]

კვლევის დოქტრინალური მეთოდიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ. რომ დიფამაცია და ცილისწამება ერთმანეთის მსგავსია სახელისგამტეხი ინფორმაციის გავრცელების ნა-

---

15 *Rivard A.,* De l Calvert, Clay, Awareness of Meaning in Libel Law: An Interdisciplinary Communication & Law Critique, 1995, 16 The Northern Illinois University Law Review 111. a liberté de la presse. Montréal: Garneau, 1923, 125, 67.

16 *Calvert C.,* Awareness of Meaning in Libel Law: An Interdisciplinary Communication & Law Critique, 16 The Northern Illinois University Law Review, 1995, 111.

17 *Pineau J., Monique,* Théorie de la responsabilité civile. 2e éd. Montréal: Éd. Thémis, 1980. 237, 62.

18 *Fricke G. L.,* The Criterion of Defamation, 32 Australian Law Journal, 1958, 7.

19 *Vallières N.,* La presse et la diffamation: rapport soumis au ministère desCommunications du Québec. Montréal: Wilson & Lafleur, 1985, 138, 6-8, 10, 49, 52, 58, 90.

20 *Nadeau A., Nadeau R.,* Traité pratique de la responsabilité civile délictuelle. Montréal: Wilson & Lafleur, 1971. 732, 248.

21 ჟან პინო (1934-2013) ფრანგული წარმომავლობის, მონრეალის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი. იგი აღიარებულია კვებეკის სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ მთავარ ავტორად.

22 *Pineau J., Ouellette Monique.,* Théorie de la responsabilité civile. 2e éd. Montréal: Éd. Thémis, 1980, 237, 63-64.

23 <https://www.laloi.ca/quest-ce-que-de-la-diffamation/> [15.06.2025].

წილში, თუმცა გამოვლინების ხასიათით ეს ორი ტერმინი ერთმანეთისაგან განსხვავდება. საინტერესოა ეს სხვაობა გააზრებულია თუ არა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

## 2.4. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის განმარტება

როდესაც ვსაუბრობთ დიფამაციაზე, მაშასადამე სახელისგამტეხი ფაქტების გასაჯაროებაზე[24], აუცილებელია განიმარტოს პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რათა სწორად იყოს შესაძლებელი სახელისგამტეხი ინფორმაციის დიფამაციად იდენტიფიცირება.[25]

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი განსაზღვრავს ადამიანის ღირსების ხელშეუვალობას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში და პირველივე მუხლში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერებს:

„ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის ღირსებისა და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება მსოფლიოში წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს"; "ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით".[26]

საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება ღირსებასთან მიმართებით, რომელიც მიუთითებს რომ:

ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი გაგება ვერ იქნება მისთვის ამოსავალი წერტილი და რომ მისი კონსტიტუციურ სამართლებრივი განმარტება არის განსხავებული:

ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსაგან.[27] ღირსებაში იგულისხმება სოციალური მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის რესპექტირებაზე. ღირსება ადამიანს აქვს იქედან გამომდინარე, რომ ის ადამიანია და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ გააჩნია საზოგადოების შეხედულებას მასზე, ან მის სუბიექტურ თვითშეფასებას.[28] ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება და ექსპლუატაციის ობიექტი.[29]

მაგალითად, სიტყვები – „მოღალატე", „პათოლოგიური", „ურჯულო" შეიძლება, პირის უფლების შელახვად დაკვალიფიცირდეს.[30]

ღირსება ასევე არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ერთ-ერთი სუბიექტური კონსტიტუციური უფლების ობიექტი. ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის

---

[24] *Calvert C.,* Harm to Reputation: an Interdisciplinary Approach to the Impact of Denial of Defamatory Allegations, 26 Pacific Law Journal, 1995, 933.

[25] *Cohen Jeremy*., Experimental Test of Some Notions of the Fact/ Opinion Distinction in Libel, 66 Journalism Quarterly, 1989, 11.

[26] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულა.

[27] *Calvert C.,* Awareness of Meaning in Libel Law: An Interdisciplinary Communication & Law Critique, 16 The Northern Illinois University Law Review, 1995, 111.

[28] Combined Media Defamation Reform Group, Submission in Response to "Outline of Possible National Defamation Law", Attorney-General's Discussion Paper – March 2004, May 2004.

[29] *Calvert C.,* The First Amendment and the Third Person: Perceptual Biases of Media Harms & Cries for Government Censorship, 6 Comm. Law Conspectus, 1998, 165.

[30] *Culbertson H.M., Stempel G.H.,* 'Media Malaise: Explaining Personal Optimism and Societal Pessimism about Health Care, 35(2) Journal of Communication, 1985, 180.

ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. ღირსების ხელყოფა, ფაქტიურად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას. გარდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლისა არსებობს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი, სპეციალური კანონი.

პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის, სწორი განმარტებისათვის დიდ დახმარებას გასწევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 ივნისის საქმე 3კ-337-02, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა.რ

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმიანი რეპუტაცია გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. სახელმწიფო პოლიტიკური, ასევე საჯარო სამსახურის თანამდებობის პირს არ გააჩნია ის საქმიანი რეპუტაცია, რასაც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი გულისხმობს. სადავო ინტერვიუს გამოქვეყნების დროისათვის მოსარჩელე წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, რომლის თანამდებობასთან, კანონის თანახმად, შეუთავსებელია კომერციული საქმიანობა. მოსარჩელის მიერ „გ-ის" აქციათა პაკეტის ფლობა არ ნიშნავს, რომ იგი კომერციულ საქმიანობას ეწევა. საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს **დიფამაციას** (პატივის ან ღირსების ხელყოფა), მაგრამ არა საქმიანი რეპუტაციის შელახვას.[31]

სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფად ჩაითვლება, თუ არსებობს რაიმე ცნობის (ფაქტის) გავრცელდება და ეს ცნობა შეიცავს ამ ნორმით დაცული ერთი ან რამდენიმე უფლების (პატივის, ღირსების და სხვა) დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებების („კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ") გათვალისწინებით, პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გამოთქმულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ.[32]

აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის უფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და „ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის" მე-10 მუხლით. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე (1) მუხლით ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. კონსტიტუციის ამავე მუხლის მე-4 პუნქტით ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. კონვენციის მე-10 (1) მუხლი ადგენს, რომ უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე „მოიცავს პიროვნების თავისუფლებას,

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2002 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე 3კ-337-02.

[32] *David P., Johnson M.,* The Role of Self in Third-Person Effects about Body Image, 48(4) Journal of Communication, 1998, 37.

ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს, გასცეს ინფორმაცია და იდეები“. კონვენციის მე-10 (2) მუხლით ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, შეზღუდვებსა და სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან ზნეობის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად.[33]

აღნიშნულიდან გამომდინარე, პიროვნება, რომელიც აზრს გამოხატავს თავისუფლად, ამავე დროს იღებს გარკვეულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას.[34] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს საკანონმდებლო აქტები ადგენს, როგორც მოსაზრებების, ინფორმაციის გამოხატვისა და გავრცელების, ისე პირთა პატივისა და ღირსების დაცვის გარანტიებს. პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლება უდავოდ არ წარმოადგენს აბსოლუტურს, რის გამოც სახელმწიფო (კანონი) აწესებს შეზღუდვებს (სანქციებს), რაც ყველას, მათ შორის პოლიტიკური მოღვაწეების და სახელმწიფო მოხელეების _ რეპუტაციის დაცვის საშუალებას იძლევა.[35]

საქართველოს კონსტიტუციით (მე-17(1) მუხლი) დეკლარირებულია ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ადგენს პატივისა და ღირსების დაცვის ფორმებს, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომელიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება.[36]

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის სწორი კვალიფიკაციისათვის საჭიროა, განმარტებულ იქნეს პირის პატივისა და ღირსების სამართლებრივი დაცვის დეფინიცია. პალატა თვლის, რომ პიროვნების პატივის ქვეშ იგულისხმება პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების საზოგადოებრივი შეფასება. პატივი პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ. ღირსების ქვეშ იგულისხმება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება.[37]

პატივისა და ღირსების შელახვად იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.[38]

---

[33] *Dent Ch.,* Defamation Law’s Chilling Effect: a Comparative Content Analysis of Australian and US Newspapers, 9(2) Media & Arts Law Review, 2004, 89.

[34] *Davison W.,* The Third-Person Effect in Communication, 47 Public Opinion Quarterly, 1983, 1.

[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2002 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე 3კ-337-02.

[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2002 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე 3კ-337-02.

[37] *De Visser R.,* Heterosexual experience and Recent Hetero- sexual Encounters Among a Representative Sample of Adults, 27(2) Australian and New Zealand Journal of Public Health, 2003, 146.

[38] *Patrick G.,* Damages Survey for Defamation, paper presented at Media Law and Defamation’ seminar, Centre for Continuing Legal Education course, Faculty of Law, University of New South Wales, 14 March 2003.

საჯაროდ გამოხატული მოსაზრება, რომელიც ასევე შეიცავს მტკიცებას, რომ პირის მიერ დარღვეულია კანონი, მას „მოპარული" აქვს ქონება, არის „კორუმპირებული" და „მაფიის წევრი", არ შეიძლება ჩაითვალოს იმგვარ მოსაზრებად, რომლის გავრცელებაც მითითებული აქტებით არის დეკლარირებული და აბსოლუტურად შეუზღუდავია.[39]

პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ღვარძლიან კრიტიკაში, რომელიც სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და მიზნად ისახავს ადრესატის ღირსების შელახვას.[40] პატივისა და ღირსების შელახვას ასევე ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მესამე მხარისადმი მიმართვისას ერთი ადამიანი მეორის ღირსებას, რეპუტაციას ან მდგომარეობას მოიხსენიებს იმგვარი ფორმით, რომ ამცირებს პირს მოქალაქეთა თვალში, იწვევს სიძულვილს ან ზიზღს. ამდენად, პირს დაცვის უფლება ენიჭება მაშინ, როდესაც დისკრედიტირებულია მისი საზოგადოებრივი რეპუტაცია. მართალია, კრიტიკის ფარგლები პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო მოხელეების მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო ფიზიკური პირების მიმართ, მაგრამ კრიტიკამ არ უნდა გადალახოს საზღვარი, რომელიც დადგენილია „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის" დასაცავად.[41]

პატივისა და ღირსების შელახვის შესახებ სამოქალაქო სარჩელის განხილვის დროს მოსარჩელეს არ ეკისრება იმის მტკიცება, შეესაბამება თუ არა გავრცელებული ცნობები სინამდვილეს.[42] გავრცელებული ცნობების სინამდვილისადმი შესაბამისობის მტკიცება ეკისრება მოპასუხეს.[43]

სისტემური კვლევის მეთოდიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილების სისტემური ანალიზი ზოგად წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის მნიშვნელობის შესახებ.

## 2.5. პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გამოქვეყნების მიმართ არსებული ქართული სასამართლო პრაქტიკა

სისტემური კვლევის ფარგლებიდან გამომდინარე, აუცილებელია შესწავლილ იქნას ქართული სასამართლო პრაქტიკა რათა მკითხველს შეექმნას ერთგვარი სურათი ცილისწამების მიმართ არსებული სასამართლო ხედვის შესახებ, რაც დიდ დახმარებას გასწევს დიფამაციის უკეთ გააზრებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 აპრილის №ას-22-22-2014 განჩინებით, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა, მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისათვის, მის სასარგებლოდ, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის უარყოფის დავალებას.

სასამართლოს განმარტებით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონ-

[39] *Sprankling J.,* The Internatinal Law of Propery. Oxford: Oxford University Press, 2014, 111.
[40] *Davison W., Phillips,* The Third-Person Effect Revisited, Summer, 8(2) International Journal of Public Opinion Research, 1996, 2.
[41] *Donoghue D.,* England, their England: Commentaries on English Lan- guage and Literature, University of California Press, 1989, 56.
[42] *Eisenberg J.,* Abbott, Kennett and Costello, 1999, 153 Commu-nications Update 19 Eldridge, Laurence H., Law of Defamation Bobs-Merrill Co., Indianapolis 1978, 45.
[43] *Eveland Jr., William P., Douglas M..* The Effect of Social Desirability on Perceived Media Impact: Implications for Third-Person Perceptions, 11 International Journal of Public Opinion Research, 1999, 315.

სტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.[44]

სასამართლოს განმარტებით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით პირს ეკისრება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგელობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.[45]

საინტერესოა სასამართლოს პოზიცია, როდესაც საქმე ეხება საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პირის მიმართ სახელისგამტეხი ინფორმაციის გავრცელებას, კერძოდ კი ნაშრომში შესწავლილია – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის №ას-1332-1258-2012 განჩინება, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა მორალური ზიანის ანაზღაურება და სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნება.

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები მოსარჩელე საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პირი არის თუ არა, ასევე შეიცავს თუ არა განცხადება ცილისმწამებლურ ინფორმაციას და როგორია თავად გაზეთის ტირაჟი, კერძოდ გამოიცემა თუ არა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და ხელმისაწვდომი არის თუ არა ქართველი მკითხველისათვის.[46]

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში, 2004 წლის 24 ივნისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, დადგინდა პირის პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაცია. ამასთან, 2004 წლის 24 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", რომლითაც დამკვიდრდა ისეთი ცნებები, როგორიცაა აზრი და ცილისწამება.[47]

როდესაც მოსარჩელე წარმოადგენდა საჯარო პირს, მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საჯარო პირის ცილისწამებისათვის გათვალისწინებული სტანდარტი.[48] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათ-

[44] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აპრილის განჩინება საქმეზე: №ას-22-22-2014.

[45] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

[46] *Glynn C.J., Haynes A.F., Shanahan J.,* Perceived Support for One's Opinions and Willingness to Speak Out: A Meta-Analysis of Survey Studies on the "Spiral of Silence", 61 Public Opinion Quarterly, 1997, 452.

[47] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 აპრილის განჩინება საქმეზე: №ას-1332-1258-2012.

[48] *Gunther A.C.,* What We Think Others Think: Cause and Consequence in the Third-Person Effect,18(3) Communication Research, 1991, 355.

ვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.[49] ამდენად, მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს.

კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას, მნიშვნელოვანია პირველ რიგში გაირკვეს, საქმე გვაქვს აზრის გამოხატვასთან თუ ცილისწამებასთან.[50]

კანონით აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც ნიშნავს პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას.[51]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, აზრი განმარტებულია, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს, ხოლო იმავე მუხლის „ე" ქვეპუქნტით ცილისწამება, ეს არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: სიტყვა „აზრი" ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებლია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.[52]

---

49 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

50 *Fleming J.G.,* The Law of Torts, 9th edn, Thomson Reuters, 1998.

51 *Glynn C.J.,* and *R.E. Ostman,* Public Opinion about Public Opinion, 65 Journalism Quarterly1988, 299.

52 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (8 ივნისი, 1986 წელი), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს.

შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე.[53]

გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავების განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს გამავრცელებლის მიმართებას მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა-ჭეშმარიტებასთან.[54] დაუშვებელია მედიის წარმომადგენლებს მოეთხოვოთ ასი პროცენტით გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, თუმცა, გონივრულ ფარგლებში გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელების სტანდარტის დაცვა აუცილებელია, რათა არ მოხდეს დემოკრატიულ ფასეულობათა გაუფასურება.[55] ქცევის ამგვარი სტანდარტის დაწესება სრულად შეესაბამება სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს.[56]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პრესის თავისუფლებისაგან განუყოფელია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, მათ შორის მნიშვნელოვანია ჟურნალისტი საჭიროების შემთხვევაში გაემიჯნოს რესპოდენტების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და იზრუნოს იმისათვის, რათა ნებსით თუ ენებლიედ არ გადაიქცეს სიძულვილისა თუ ძალადობის მომწოდებელი განცხადებების გამავრცელებლად.[57]

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ღირსება გამოხატავს პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების შეფასებას თვით ამ პიროვნების მიერ, ხოლო პატივი პიროვნული თვისებების შეფასებას საზოგადოების მიერ, ანუ იმას, თუ როგორ აღიქმება პიროვნება საზოგადოების თვალში. სასამართლოს შეფასებით, უნდა დავუშვათ იმის პრეზუმფცია, რომ სადავო ინფორმაციის გავრცელებით შეილახებოდა ნებისმიერი საშუალო ადამიანის პატივი და ღირსება.[58]

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „ზიანი ასეთ შემთხვევებში არაქონებრივი სახით – პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით არის გამოვლენილი. არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, და მას არ გააჩნია ღირებულება, შესაბამისად, ამ ზიანის დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია.“[59]

---

[53] *Gunther A.C., Mundy P.,* Biased Optimism and the Third-Person Effect, 1993, 70(1) Journalism Quarterly, 58.

[54] *Harkess J.,* A Linguistic Inspection of the Law of Defamation, Auckland University Law Review, 1998, 653.

[55] *Eveland Jr., William P., McLeod D,M.,* The Effect of Social Desirability on Perceived Media Impact: Implications for Third-Person Perceptions, 11 International Journal of Public Opinion Research, 1999, 315.

[56] *Hart J.D.,* Why Expert Testimony on the Meaning of Language has no Place in Libel Suits' in David A. Schulz, Libel & Newsgathering Litigation – Getting & Reporting the News, Practising Law Institute, 1998, 517.

[57] *Kenyon A.T.,* Defamation: Comparative Law and Practice, OUP, 2006, 121.

[58] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

[59] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.[60] ანალოგიური პრინციპია გატარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლში, რომელიც ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, თუ აღნიშნული ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს.[61]

ევროპული სტანდარტების მიხედვით, შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელი ინფორმაცია ყველაზე მეტად პრესის თავისუფლებითაა უზრუნველყოფილი.[62] დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც ემყარება პლურალიზმისა და შემწყნარებლობის ფასეულობებს, ცალკეულ შემთხვევებში ადამიანებს ავალდებულებს აიტანონ მათთვის მიუღებელი ინფორმაციის მოსმენა. ამასთან, საჯარო პირებთან მიმართებაში „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან მიმართებაში.[63] გამოხატვის თავისუფლება იმდენად არ უნდა გაფართოვდეს, რომ მან დაკარგოს თავისი არსი, რაც სხვათა უფლებების გადაჭარბებულ ხელყოფაში გამოიხატება.[64]

როდესაც საქმე გვაქვს გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციას შორის ბალანსის დაცვასთან, მნიშვნელოვანია შეფასდეს ის, თუ ვის მიმართ გავრცელდა შეურაცხმყოფელი განცხადება, რა ფორმით გავრცელდა ინფორმაცია, როგორია კანონიერი ინტერესისათვის მიყენებული ზიანი, შეეხება თუ არა გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს, დარღვეულია თუ არა „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ და ა.შ.[65]

დაკისრებული ჯარიმისა და კომპენსაციის დიდ ოდენობას დაეფუძნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნა ჩარევის არათანაზომიერად მიჩნევის თაობაზე, საქმეში “KARHUVAARA AND ILTALEHTI v. FINLAND”, რომელიც შეეხებოდა გაზეთის მთავარი რედაქტორის დასჯას პარლამენტის დეპუტატის პირად ცხოვრებაში ჩარევისათვის.[66] ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯარიმისა და კომპენსაციის დიდი მასშტაბები დეპუტატის პირადი ცხოვრების უფლების არც თუ ისე სერიოზული დარღვევის ფონზე, აშკარად დისპროპორციულ ღონისძიებად უნდა ჩათვლილიყო.

გამოხატვის უფლებაში ჩარევის ხარისხის შემოწმება განეკუთვნება ფაქტის საკითხს, შესაბამისად, სასამართლო, ჩარევის პროპორციულობას ვერ გადაწყვეტს, თუ სახეზე არ იქ-

---

60 საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

61 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლი.

62 *Heine S.J., Lehman D.R.*, Cultural Variation in Unrealistic Optimism: Does the West Feel More Invulnerable than the East?, 68 Journal of Personality and Social Psychology, 1995, 595.

63 Human Rights and Equal Opportunity Commission, Same-Sex: Same Entitlements, Commonwealth of Australia, Canberra 2007, 77.

64 *Jones E.E., Nisbett R.E.*, The Actor and the Observer: Divergent Perceptions of the Causes of Behavior' in EE Jones et al (eds) Attribution: Perceiving the Causes of Behavior, Lawrence Erlbaum 1987, 79.

65 *Gashi H.*, Acquisition and Loss of Ownership Under the Law on Property and Other Real Rights (LPORR): The Influence of the BGB in Kosovo Law, 2013, 88-89.

66 <https://www.cilvektiesibugids.lv/en/case-law/karhuvaara-and-iltalehti-v-finland> [15.06.2025].

ნება ფაქტები, რომლებიც სასამართლოს ღირებულებათა კონფლიქტში მეტი სიცხადის შეტანაში იქნება დამხმარე.[67]

აღნიშნული გადაწყვეტილებების განხილვა ზოგად წარმოდგენას ქმნის ქართული სასამართლო პრაქტიკის მიმართ, რომელიც მას გააჩნია პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გავრცელებისას, ასევე მოყვანილი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლო არსებითად არ მიჯნავს დიფამაციასა და ცილისწამებას ერთმანეთისაგან.

## 2.6. ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების წინაპირობები და სასამართლოს მიდგომები საჯარო და კერძო პირის მიმართ დიფამაციური ინფორმაციის გაჟღერებისას

იმისათვის რათა შესაძლებელი გახდეს ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების წინაპირობების დადგენა, საჭიროა ყურადღება შეჩერდეს „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 თავზე, რომელიც ეთმობა ცილისწამებას, კერძოდ მე-13 მუხლით განსაზღვრულია კერძო პირის მიმართ ცილისწამების საკითხი:

„პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა“[68]

რაც შეეხება საჯარო პირის მიმართ გამოთქმულ ცილისწამებას, ეს უკანასკნელი მოწესრიგებულია მე-14 მუხლში, რის მიხედვითაც:

„პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.“[69]

როგორც ნორმის დისპოზიციიდან ირკვევა, კანონმდებლის ხედვა ბევრად მკაცრი და მომთხოვნია საჯარო პირის მიმართ გაჟღერებული ცილისმწამებლური ინფორმაციის წინაპირობების დადგენის მიმართ, რადგან ასეთ დროს:

1) მოპასუხისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი გაჟღერებული ფაქტის მცდარობის შესახებ ან/და
2) მოპასუხეს უნდა გამოეჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა მცდარი ინფორმაციის გაჟღერებისას;

აღნიშნულთან დაკავშირებით, საჭიროა ითქვას რომ მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს შემდეგი:

---

67 *Kim Y., Ahn J., Song J.*, Perceived Media Influence on Self and Others on a Controversial Issue', paper presented at the meeting of the International Communication Association, Chicago, May 1991, unseen, cited in Dominic L. Lasorsa, 'Policymakers and the Third-Person Effect' in J. David Kennamer (ed.), Public Opinion, The Press and Public Policy, 1992, 163, 170.

68 „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

69 „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;
ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;
გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა;
დ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა ან/და საქმიან რეპუტაციას.[70]

საჯარო და კერძო პირების მიმართ სასამართლოს მხრიდან განსხვავებული მიდგომების წარმოსაჩენად საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 03 აგვისტოს №ას-1739-1720-2011 განჩინება, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოს თქმით, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია ადამიანის პატივი და ღირსება. სამოქალაქო სამართალი პატივისა და ღირსების, როგორც სამართლებრივად დაცული სიკეთის, ზნეობრივი კატეგორიის ქვეშ მოიაზრებს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ და პიროვნების მიერ საკუთარი მნიშვნელობის შეფასებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილის შესაბამის ფაქტებს.[71] საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, ამ უფლებათა განხორციელება შეიძლება კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.[72]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებულია გამოხატვის თავისუფლება. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების მიერ ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს პირის გამოხატვის თავისუფლების უფლების სამ კომპონენტს:

- თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები;
- თავისუფლებას, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები;
- თავისუფლებას, მიიღოს ინფორმაცია და მოსაზრებები.[73]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლება-

---

70 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011.
71 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 03 აგვისტოს განჩინება საქმეზე №ას-1739-1720-2011.
72 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011.
73 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.

თა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. დასახელებული კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება. [74]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება არის ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.[75]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი კონკრეტულად განსაზღვრავს მტკიცებულებათა სტანდარტსა და ტვირთს, კერძოდ, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, იმპერატიულად ადგენს, რომ აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.[76]

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, კი არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის შემლახველი ცნობების გავრცელებას.

მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკავშირებულია არაქონებრივ უფლებათა დარღვევასთან.[77] პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს მორალური ზიანის არსებობა.[78] მორალური ზიანის ქვეშ იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია.[79] მორალური ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკამარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი და სხვა მატერიალური გამოხატულება მას არ გააჩნია.[80]

აქედან გამომდინარე, პირს პასუხისმგებლობა პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ადგილი აქვს მსგავსი ცნობების შემცველი ინფორმაციის გავრცელებას. თავის მხრივ, ინფორმაციის გაუვრცელებლობა არ შეიძლება წარმოადგენდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

---

74 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი.

75 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტი.

76 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

77 *Krasnostein S.,* Defamation Law and the Fairness of the Objective Test, 23(4) Communications Law Bulletin, 2004, 6.

78 *Kundu A.,* Defamation, Reputation and the Community: an Analysis of the Doctrine of Presumed Harm in Defamation Law, 10(1) Media & Arts Law Review, 2005, 53.

79 *Lasorsa D.L.,* Real and Perceived Effects of “Amerika”, 66 Journalism Quarterly, 1989, 373.

80 Magnusson R., Freedom of Speech in Australian Defamation Law:Ridicule, Satire and Other Challenges, 9 Torts Law Journal, 2001, 269.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, პიროვნება, რომელიც სარგებლობს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებით, ამავე დროს იღებს გარკვეულ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას.[81] საქართველოს კანონმდებლობა ადგენს როგორც მოსაზრებების გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლებას, ასევე პირის პატივისა და ღირსების დაცვის გარანტიებს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით (ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით), პირს უფლება ჰქონდა, სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვა იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავდა მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებდა, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამებოდა.[82] დასახელებულ მუხლში 2004 წლის 24 ივნისს შევიდა ცვლილება, რომლითაც კანონმდებელმა გაითვალისწინა მე-18 მუხლში მითითებული უფლებების დაცვა „კანონით დადგენილი წესით“.

2004 წლის 24 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დამკვიდრდა ცილისწამებისა და უხამსობის ცნებები, კერძოდ, მითითებული ნორმით ცილისწამებად ჩაითვლება არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება, ხოლო უხამსობად მიიჩნევა განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.[83]

როდესაც მოსარჩელე წარმოადგენს კერძო პირს, მის მიმართ უნდა გავრცელდეს კერძო პირის ცილისწამების სტანდარტი.[84] ცილისწამების იურიდიული შემადგენლობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს მოპასუხის მიერ სადავო განცხადების გავრცელება უშუალოდ მოსარჩელის შესახებ.[85] თუ სადავო განცხადება არ არსებობს, მაშინ ცილისწამებაც არ არსებობს.[86] ამდენად, მოსარჩელემ, უპირველესად, სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს.[87] ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.[88]

---

81 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.

82 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 03 აგვისტოს განჩინება საქმეზე №ას-1739-1720-2011.

83 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

84 *Mason L.,* Newspaper as Repeater: An Experiment on Defamation and Third-Person Effect, Autumn 72(3) Journalism and Mass Communication Quarterly, 1995, 610.

85 *Lexis N.,* Australian Defamation Law & Practice. Barnett L.L., Defamation, Reputation, and the Myth of Community, 71(1) Washington Law Review, 1996, 1.

86 *Heider F.,* The Psychology of Interpersonal Relations, Routledge, 1958, 23.

87 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.

88 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 03 აგვისტოს განჩინება საქმეზე №ას-1739-1720-2011.

ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების წინაპირობებისა და საჯარო და კერძო პირის მიმართ დიფამაციური ინფორმაციის გაჟღერებისას სასამართლოს მიდგომების დადგენის თვალსაზრისით ზემოთ განხილულმა გადაწყვეტილებამ ამომწურავი პასუხი გაგვცა ხსენებული საკითხების გარშემო არსებულ კითხვებზე.

## 2.7. სახელისგამტეხი ინფორმაციის ცილისწამებად მიჩნევის გამომრიცხავი გარემოებები

სახელისგამტეხი ინფორმაციის გაჟღერების ცილისწამებად მიჩნევისათვის საჭიროა ეს უკანასკნელი განხორციელებული არ იყოს:

1) კვალიფიციური პრივილეგიით;
2) აბსოლუტური პრივილეგიით;[89]

კვალიფიციური პროვილეგია შეიძლება შეგვხვდეს შემდეგნაირი გამოვლინებების სახით:

1) განცხადება, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას, რა დროსაც დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს;[90]
2) განცხადება რომლის გასაჯაროებისას მიღებული იქნა გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ მაინც ვერ იქნა განხორციელებული შეცდომის თავიდან აცილება და აქვე საჭიროა ასეთ პირს გატარებული ჰქონდეს ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად;[91]
3) პირის მიერ გაკეთებული განცხადება შეიცავს იმ პირის თანხმობას ვისკენაცაა ეს უკანასკნელი მიმართული;
4) როდესაც განცხადება წარმოადგენს მოსარჩელის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადების თანაზომიერ პასუხს;
5) როდესაც განცხადება არის სამართლიანი და ზუსტი რეპორტაჟი იმ მოვლენასთან დაკავშრებით, რომელიც იმსახურებს საზოგადოებრივ ყურადღებას.[92]

ზემოთ განხილულ იქნა შემთხვევები, როდესაც კვალიფიციური პრივილეგიისას კანონი აწესებს პასუხისმგებლობისაგან ნაწილობრივ ან პირობით გათავისუფლებას.

რაც შეეხება აბსოლუტურ პრივილეგიას, მას განეკუთვნება აზრის დაფიქსირება, რა დროსაც აუცილებელია დაცული იყოს პროფესიული საიდუმლოების წყაროს დაცვის უფლება, მაგალითად იურისტის, მოძღვარის, ექიმის ან სხვა პირების მიერ. აქვე, უნდა ითქვას, რომ აზრის დაფიქსირება გულისხმობს ერთგვარი მოსაზრებისა, თუ შეხედულების საჯაროდ გამოხატვას, რა დროსაც სხვა პირის უფლებები არ უნდა დაირღვეს.[93]

---

[89] *Mason L.,* Newspaper as Repeater: An Experiment on Defamation and Third-Person Effect, Autumn, 72(3) Journalism and Mass Communication Quarterly, 1995, 610.

[90] *McCraw D.,* How do Readers Read? Social Science and the Law of Libel, 41 Catholic University Law Review, 1991, 81.

[91] *LexisNexis A.,* Australian Defamation Law & Practice, Barnett L.L., Defamation, Reputation, and the Myth of Community, 71(1) Washington Law Review, 1996, 1.

[92] *Magnusson R.*, Freedom of Speech in Australian Defamation Law:Ridicule, Satire and Other Challenges, 9 Torts Law Journal, 2001, 269.

[93] *Driscoll P.D., Salwen M.B.,* Self-Perceived Knowledge of the OJ Simpson Trial: Third-Person Perception and Perceptions of Guilt, 74 Journalism & Mass Communication Quarterly, 1997, 541.

განხილული საკითხების გარშემო, თეორიული მსჯელობა სასურველია განმტკიცდეს პრაქტიკული ნაწილით, რისთვისაც განიხილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-677-638-2011, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.[94]

ევროპული სასამართლო მიმართულია იქით, რომ სადავო შემთხვევაში შესაბამისი იდეა თუ ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის საგანს მიაკუთვნოს, ხოლო შესაბამისი გამონათქვამები „შეფასებით მსჯელობას" და არა „ფაქტების გადმოცემას".

სასამართლომ მიუთითა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც **დიფამაციის საქმეებში** ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენდა „ფაქტების გადმოცემისა" და „შეფასებითი მსჯელობის" გამიჯვნა. მართალია, „შეფასებითი მსჯელობა" საზოგადოდ არ ექვემდებარებოდა მტკიცებას, მაგრამ როდესაც იგი კონკრეტულ ბრალდებას გულისხმობდა, ასეთი „შეფასებითი მსჯელობის" დასაცავად აუცილებელი იყო შესაბამისი, საკმარისი საფუძვლის არსებობა **„ჯერუსალემი ავსტრიის წინააღმდეგ".**[95]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში **„ალვეს კოსტა პორტუგალიის წინააღმდეგ"** ასევე აღნიშნა, რომ კონკრეტული ბრალდების წამოყენების დროს სავალდებულო იყო, ბრალდების ავტორს წარმოედგინა თავისი ბრალდების სულ მცირე ფაქტობრივი საფუძველი. მაშინაც კი, როდესაც განცხადება „შეფასებით მსჯელობას" წარმოადგენს, ჩარევის თანაზომიერების შეფასება შეიძლება დამოკიდებული აღმოჩნდეს იმაზე, არსებობდა თუ არა შესაბამისი სადავო განცხადებების საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. შეფასებითი მსჯელობაც შეიძლება გადაჭარბებულად ჩაითვალოს, თუკი იგი არ ემყარება საკმარის ფაქტობრივ საფუძველს **„დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ"**[96].

სასამართლომ აღნიშნა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია, პირს მოსთხოვო მხოლოდ ფაქტებზე დამყარებული მოსაზრებების გამოთქმა, ისევე, როგორც შეუძლებელია მოსთხოვო მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების მტკიცება.[97] „ფაქტების არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს მაშინ, როცა მოსაზრებები არ ექვემდებარება მტკიცებულებებს" და „შეხედულებების სიმართლის დამტკიცების მიმართ შეუძლებელია ამ მოთხოვნის შესრულება. იგი თავად არღვევს აზრის თავისუფლებას, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი უფლების ფუნდამენტურ ნაწილს" **(ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ).**[98]

მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შესაძლოა ეყრდნობოდეს სუსტ ფაქტობრივ მონაცემებს, მაგრამ აღნიშნული მაინც არ არღვევს აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად **(დიხანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ).**[99]

---

[94] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

[95] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-677-638-2011.

[96] <https://temida.ge/fullcase/2691/--.pbn> [15.06.2025].

[97] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-677-638-2011.

[98] <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba7.pdf> [15.06.2025].

[99] <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/dichand-and-others-v.-austria.pdf> [15.06.2025].

ყურადსაღებია, რომ რეპუტაციის დაცვის ინტერესი ვერ გადაწონის შესაბამის საჯარო ინტერესს, რაც მოსარჩელის მიმართ არსებობდა.[100] მოპასუხის მიერ გაკეთებულ განცხადებას შეიძლებოდა დადებითი წვლილი შეეტანა საჯარო დისკუსიის გამართვაში კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. მით უფრო, რომ მოპასუხეს მოსარჩელესთან დაკავშირებული განცხადება მანამდეც ჰქონდა გაკეთებული, რაც დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით. მას სრული უფლება ჰქონდა, გამოეთქვა თავისი მოსაზრება და მოეხდინა შესაბამის საკითხზე საჯარო დებატების ინიცირება.[101] როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც მოწმობს, საჯარო დისკუსიისას, რომლის მიზანიც ჭეშმარიტების გარკვევაა, პატივისა და ღირსების დაცვის მოთხოვნები გაცილებით დაბალია, ვიდრე პოლიტიკური საკითხების ღია განხილვის ინტერესი.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსში 2004 წლის 24 ივნისს ცვლილების განხორციელებამდე არსებული რედაქცია (მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი) ითვალისწინებდა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ისეთ მექანიზმს, როგორიც იყო სასამართლოს მეშვეობით პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა. თუმცა, 2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", რომელიც ამოქმედდა 2004 წლის 16 ივლისიდან, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა განისაზღვრა ასევე სპეციალური კანონით, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად დაადგინა როგორც დაცვის მექანიზმები, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.[102]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი პირდაპირ ადგენს ცილისწამების შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის არსს, სასამართლოს არ აქვს უფლება თავისი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მართებულად იქნა გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, რაც ასევე შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკასთან.[103]

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტამდე, მნიშვნელოვანია გაირკვეს მოპასუხის მიერ გავრცელებული გამონათქვამები განეკუთვნება ფაქტებს, თუ შეფასებით მსჯელობას. ხშირად მათი გამიჯვნა გართულებულია, თუმცა როგორც ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს პრეცენდენ-

[100] *Yatar E.K.M.,* Defamation, Privacy, and the Changing Social Status of Homosexuality: Re-Thinking Supreme Court Gay Rights Jurisprudence, 12 Law & Sexuality, 2003, 119.

[101] *Willnat L.,* Perceptions of Foreign Media Influence in Asia and Europe: The Third-Person Effect and Media Imperialism, 2002, 14(2).

[102] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-677-638-2011.

[103] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-810-1129-07/საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-334-654-09.

ტული გადაწყვეტილებების, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ანალიზით შესაძლებელია მეტი სიცხადის შეტანა ამ ორ ცნებას შორის.[104]

საქმეში **„ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“** ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ მოსაზრებების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს.[105]

საქმეში **„პერნა იტალიის წინააღმდეგ“** ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ ფაქტის დამტკიცება შესაძლებელია, ხოლო შეფასებითი მსჯელობა დამტკიცებას არ ექვემდებარება.

საქმეში **„ჯერუსალემი ავსტრიის წინააღმდეგ“** ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ შეფასებითი მსჯელობების ნამდვილობის დამტკიცება შეუძლებელია და რომ ასეთი მოთხოვნა ზღუდავს აზრის თავისუფლებას.[106]

საქმეში **„დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ“** ევროპის სასამართლომ განმარტა შემდეგი: იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძვლით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს.[107]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, აზრი ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე.[108] ფაქტები კი ჩვეულებრივ მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა.[109]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი.[110]

ამდენად, მოხმობილი გადაწყვეტილებების და კანონის ნორმათა შეჯერებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია გან-

---

[104] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-677-638-2011.

[105] <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba7.pdf> [20.05.2025].

[106] <https://temida.ge/fullcase/2944/--.pbn> [20.05.2025].

[107] <https://temida.ge/fullcase/3826/--.pbn> [20.05.2025].

[108] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-677-638-2011.

[109] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1278-1298-2011.

[110] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1477-1489-2011.

მცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომელიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.[111]

საქმეში **„დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ"** ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ განმარტა შემდეგი: საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკური გამოსვლის ან დებატების შეზღუდვები მცირე ფარგლებშია შესაძლებელი. ამასთან, მისაღები კრიტიკის საზღვრები, კერძო პირისაგან განსხვავებით, უფრო ფართოა პოლიტიკოსთან მიმართებაში.[112]

საკასაციო პალატა მიუთითებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლითაც განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის სტანდარტი, კერძოდ, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. მოცემული ნორმა ადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად სტანდარტებს, რომელთანაც სრულ ჰარმონიაშია ამავე კანონის მე-14 მუხლის რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს საჯარო პირის ცილისწამების შემთხვევაში ამ უკანასკნელის მიერ სამტკიცებელ გარემოებებს.[113]

განხილული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ წარმოადგენს ნათელ მაგილითს იმისა, რომ სასამართლო ხშირად ტერმინოლოგიური თვალსაზრისით დიფამაციასა და ცილისწამებას უთანაბრებს ერთმანეთს და არ მიჯნავს მათ. ამდენად, მოხმობილი გადაწყვეტილებების და კანონის ნორმათა შეჯერებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ცილისწამების, როგორც დიფამაციის მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომელიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია.

## 2.8. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, როგორც არააბსოლუტური უფლების თავისებურებები

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შესაძლოა ის შეიზღუდოს.[114]

---

[111] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-677-638-2011.

[112] <https://temida.ge/fullcase/3826/--.pbn> [20.05.2025].

[113] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-677-638-2011.

[114] *Willnat L.*, Perceptions of Foreign Media Influence in Asia and Europe: The Third-Person Effect and Media Imperialism, 2002, 14(2).

მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით დასაშვების მისი შეზღუდვა: „კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.[115]

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებს ითვალისწინებს თავად „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონიც, კერძოდ აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი: „კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება“:

ა) ცილისწამებას;

ბ) უხამსობას;

გ) პირისპირ შეურაცხყოფას;

დ) დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას;

ე) მუქარას;

ვ) პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას;

ზ) რეკლამას, ტელეშოპინგს ან სპონსორობას;

თ) სამხედრო მოსამსახურის, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, წევრის ან თანამშრომლის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას;

ი) თავისუფლებააღკვეთილი ან თავისუფლებაშეზღუდული პირის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას;[116]

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების არააბსოლუტური ბუნების წარმოსაჩენად დამუშავებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე ას-322-605-04.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის I პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.[117] აღნიშნული უფლებები არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნდამენტი, მისი პროგრესის აუცილებელი პირობა. ეს პრინციპები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრესისათვის.[118] საქართველოში პრესა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ეს თავისუფლება საქართველოში კონსტიტუციით არის გარანტირებული (კონსტიტუციის 24-ე მუხლის II პუნქტი). კერძო პირების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და კრიტიკის დროს მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ არიან ეს პირები და რამდენად აუცილებელია საზოგადოებისათვის მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კრიტიკა.[119] პრესის თავისუფლება საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა პოლიტიკური ლიდერის იდეებისა და საქმიანობის შესაფასებლად.[120]

---

115 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.

116 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი.

117 საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის I პუნქტი.

118 *Zimmerman D.L.,* Curbing the High Price of Loose Talk, 18(2) UC Davis Law Review, 1985, 359.

119 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2004 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე ას-322-605-04.

120 *Ven-hwei Lo* W., Third-Person Effect, Gender, and Pornography on the Internet, 46(1) Journal of Broadcasting & Electronic Media, 2002, 13.

პოლიტიკოსების და მათთან გათანაბრებული საზოგადო მოღვაწეების შესახებ პრესას შეუძლია ინფორმაციებისა და მონაცემების გამოქვეყნება, რასაც მნიშვნელობა აქვს მათი პიროვნების საზოგადოებრივი შეფასებისათვის, ასევე დაიშვება მათი თავისუფალი კრიტიკა.[121]

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ, საქმეზე **„ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“** განმარტა, რომ „პოლიტიკური მოღვაწის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივი ინდივიდის მიმართ“[122].

„პოლიტიკური მოღვაწე, ჩვეულებრივი ინდივიდისაგან განსხვავებით, წინასწარ შეცნობილად და აუცილებლად უქვემდებარებს თავის ქმედებებს და ჟესტებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და საზოგადოების კონტროლს“.[123]

განხილულმა ქვეთავმა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების არააბსოლუტურობაში დაგვარწმუნა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხსენებული უფლების შეზღუდვა შესაძლებელია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

## 3. პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გამოქვეყნების მიმართ არსებული უცხოური პრაქტიკა

### 3.1. დიფამაციის მიმართ არსებული თავისებურები საფრანგეთში

შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდიდან გამომდინარე, პარალელის გავლებაა ნაცადი ფრანგულ და ქართულ სამართალს შორის, რისთვისაც ინტერვიუ ჩაიწერა პარიზის ასოცირებულ იურისტ **Maître Nejma LABIDI-**თან. მან თითქმის ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გაგვცა რასაც დეტალურად გავეცნობით ნაშრომში.

ქალბატონი ლაბიდის თქმით, აუცილებელია განვასხვავოთ ცილისწამების ორი ფორმა:

1) საჯარო ცილისწამება (დიფამაცია), როდესაც გაკეთებულ კომენტარს ისმენს ან კითხულობს როგორც მსხვერპლი, ასევ მის გარშემო არსებული საზოგადოება. შეიძლება მაგალითის სახით მოვიყვანოთ ნებისმიერი პირის მიერ წაყენებული ბრალდება ბლოგზე ან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ნებისმიერ სოციალურ ქსელებში;
2) არასაჯარო ან კერძო დიფამაციის დისპოზიცია შემდეგნაირია: გაჟღერებული ბრალდება ან სახელისგამტეხი ცნობა არ არის წაკითხული ან მოსმენილი საზოგადოების მიერ. მაგალითად, თუ ვინმეს ადანაშაულებთ დანაშაულის ჩადენაში ტექსტური შეტყობინების საშუალებით, ეს არის არასაჯარო ცილისწამება.[124]

აღნიშნული დათქმა ძალიან ჰგავს „სიტყვისა და თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-14 მუხლებს, თუმცა დისპოზიციურობის თვალსაზრისით ქართული ნორმები უფრო მკაცრია.

საფრანგეთში, აუცილებელია ყველა ბრალდებასა და პატივის შემლახავ ინფორმაციას დიდი შედეგი მოჰქონდეს მსხვერპლის პირად და პროფესიულ ცხოვრებაზე. ზოგჯერ ამ ყვე-

---

[121] *Standley T.C.,* Linking Third-Person Effect and Attribution Theory, unpublished Master's thesis, Southern Methodist University, Dallas, Texas, cited in Bryant Paul, Michael S., Michel D., The Third-Person Effect: A Meta-Analysis of the Perceptual Hypothesis, 3(1) Mass Communication & Society, 2000, 57.

[122] <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba7.pdf>[20.05.2025].

[123] *Rissel Ch.*, Attitudes Towards Sex in a Representative Sample of Adults, 27(2) Australian and New Zealand Journal of Public Health, 2003, 118.

[124] *Baudouin J.L.,* La responsabilité civile délictuelle. 3e éd. Cowansville: Y. Blais, 1990. 838, 162, 163, 163, 164.

ლაფერმა შესაძლოა განუზომელად დიდი მატერიალური ზიანი მიაყენოს მსხვერპლს, რაც ხშირად შემოსავლის მიუღებლობაშიც გამოიხატება.[125]

ცილისწამება განსხვავდება დაკნინებისგან.[126] ცილისწამება შეიძლება მიმართული იყოს როგორც კომპანიის, ასევე პირის მიმართ და უნდა გამოირჩეოდეს დამცირების ცნებისაგან.[127] მაგალითად, თუ ცილისმწამებლური შენიშვნები ეხება კომპანიას ან მის ერთ-ერთ თანამშრომელს, არსებობს ცილისწამება. მეორეს მხრივ, თუ ისინი ეხებიან კომპანიის მომსახურების ხარისხს ან პროდუქტს, სახეზეა ლანძღვა.[128]

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ თუ ცილისწამება ინტერნეტში ხორციელდება, და თქვენ აღნიშნულის მსხვერპლი ხართ, შეგიძლიათ სთხოვოთ ვებსაიტის მასპინძელს, წაშალოს სადავო შინაარსი.[129]

ქ-ნი ლაბიდის თქმით, შვეიცარიულმა კვლევამ აჩვენა, რომ საპატიო თავდასხმების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური ქსელების გაფართოების პერიოდის შემდეგ. კერძოდ კი:

2009 წლიდან 2011 წლამდე ინტერნეტში ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების მაჩვენებელი გაიზარდა 89%-ით, კერძოდ 721 შემთხვევიდან 1359 შემთხვევამდე;

2011 წლიდან 2013 წლამდე ეს მაჩვენებელი გაიზარდა 83%-ით, კერძოდ 4105 შემთხვევიდან 7519 შემთხვევამდე;

2013 წლიდან 2014 წლამდე მაჩვენებლები კი გაიზარდა 123%-ით, კერძოდ 521 შემთხვევიდან 1164 შემთხვევამდე;

ქ-ნი ლაბიდის თქმით, ცხადია ეს ციფრები და ზოგადად ეს კვლევა არ ასახავს ცილისწამების ზუსტ რაოდენობას რეალურ სამყაროში, განსხვავებით ვირტუალური სამყაროსაგან.

რესპოდენტის თქმით, მაშინაც კი, თუ დაზარალებულის მიმართ წაყენებული ბრალდებები უბრალო ინსინუაციაა, საეჭვო კომენტარები, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას, ასეთ დროს ცილისწამება ყოველთვის სახეზეა.

პატივისა და ღირსების ხელმყოფი ინფორმაციის გავრცელებისას, შესაძლებელია მიმართოთ სასამართლოს იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც თქვენს შესახებ ცილისმწამებლური კომენტარები გააკეთა.[130]

ქ-ნ ლაბიდს ვკითხეთ თუ როგორია ასეთ დროს პროცედურა საფრანგეთში? მან განგვიმარტა, რომ საჩივრის შესატანად არსებობს ორი სახის პროცედურა იმის მიხედვით, დაზარალებულისათვის ცნობილია თუ არა დანაშაულის ჩამდენის ვინაობის შესახებ:

1) თუ ცნობილია ავტორი, შესაძლებელია მის წინააღმდეგ საჩივარის შეტანა.
2) თუ ცილისწამება გავრცელდა მედია საშუალებების მხრიდან, პუბლიკაციის მენეჯერი ან პროდიუსერი ითვლება მთავარ ავტორად.

---

[125] *Shah D.V.,* Susceptibility and Severity: Perceptual Dimensions Underlying the Third-Person Effect, 26(2) Communication Research, 1999, 240.
[126] *Treiger-Bar-Am L.K.,* Defamation Law in a Changing Society: the Case of Youssoupoff v Metro-Goldwyn Mayer, 20 Legal Studies, 2000, 291.
[127] *Salwen M.B., Dupagne* M., The Third-Person Effect: Perceptions of the Media's Influence and Immoral Consequences, 26(5) Communication Research, 1999, 523.
[128] *Tewkesbury D.,* The Role of Comparison Group Size in the Third-Person Effect, 14(3) International Journal of Public Opinion Research, 2002, 247.
[129] <https://www.justifit.fr/b/guides/droit-penal/diffamation/> [15.06.2025].
[130] *Rolph D., Vitins M., Bannister J.,* Media Law: Cases, Materials and Commentary, OUP, 2010, 56.

საფრანგეთში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენ არ შეგიძლიათ უჩივლოთ იურიდიულ პირს რომელმაც განახორციელა ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელება, თუნდაც პუბლიკაცია გამოქვეყნდეს მისი სახელით; თუ არ იცნობთ დანაშაულის ავტორს, უნდა შეიტანოთ საჩივარი X-ის წინააღმდეგ. თუ თქვენ ხართ ცილისწამების მსხვერპლი ყოველდღიურ ან პერიოდულ გაზეთში, თქვენ გაქვთ პასუხის უფლება მოთხოვნის 1881 წლის 29 ივლისის კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად. ამ უფლებით სარგებლობისთვის უნდა დავუკავშირდეთ შესაბამისი წერილობითი პრესის გამოცემის დირექტორს. ამ უკანასკნელს მოეთხოვება ცილისწამებაზე პასუხის მიღებიდან 3 დღის ვადაში გამოგზავნოს პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, 3750 ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრება. როგორც კი შესაძლებელი გახდება ცილისწამების ავტორის იდენტიფიცირება, შესაძლებელი გახდება სასამართლოში მისი მოხმობა პირდაპირი გამოძახების გზით, აღნიშნული ფაქტის დადგენიდან 20 დღის ვადაში. სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენა აუცილებელია, კერძოდ ჩვენებები, სკრინშოტები, აუდიოჩანაწერები და ა.შ. საყურადღებოა, რომ აღნიშნული მტკიცებულებები დასაშვებია, თუ მატერიალური მტკიცებულება მიუთითებს ცილისმწამებლური შენიშვნების ზუსტ მონაკვეთებზე.[131]

საინტერესოა ცილისმწამებლური ინფორმაციის გაჟღერებისას სად შეიტანება საფრანგეთში საჩივარი?

რესპოდენტის თქმით, არსებობს ორი ვარიანტი: პოლიციის განყოფილებაში წასვლა ან ჟანდარმერიის ბრიგადისათვის მიმართვა. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ხანდაზმულობის ვადა, ანუ ცილისწამების საჩივრის შეტანის ვადა იწყება ფაქტების დადგომის დღიდან და გრძელდება 3 თვეზე მეტი ხნით (1881 წლის კანონის 65-ე მუხლი). თუ ცილისწამება ასიმილირებულია რასისტულ, სექსისტურ, ჰომოფობიურ ან ინვალიდურ გამონათქვამებთან, ხანდაზმულობის ვადა გაგრძელდება 1 წლამდე.

აღსანიშნავია, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით დადგენილია ხანდაზმულობის ვადა, კერძოდ „ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა განცხადებას.“[132] როგორც ვხედავთ, საფრანგეთისგან განხვავებით, საქართველოში უფრო მეტი დროა განსაზღვრული სასამართლოზე მიმართვისთვის.

საინტერესოა რა სანქციები ემუქრება საფრანგეთში ცილისწამების ავტორს?

საჯარო ცილისწამების შემთხვევაში: დამნაშავეს ემუქრება 12000 ევროს ოდენობით ჯარიმა. ჯარიმა იზრდება 45 000 ევრომდე იმ დამამძიმებელ გარემოებებში, როგორიცაა ცილისწამება ჟანდარმის, პოლიციელის, მოსამართლის ან არჩეული თანამდებობის პირის მიმართ მისი მოვალეობის გამო. ამ ჯარიმას ემატება თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, თუ ცილისწამება სექსისტური, ჰომოფობიური ან რასისტული ხასიათისაა; არასაჯარო ცილისწამება ისჯება 38 ევრომდე ჯარიმით. ჯარიმა იზრდება 1500 ევრომდე, თუ ცილისმწამებლური კომენტარები არის რასისტული, ჰომოფობიური ან სექსისტური.[133] საფრანგეთისაგან განსხვავებით, საქართველოში არ არსებობს იმპერატიული დათქმა სანქციების ნაწილში.

[131] <https://www.justifit.fr/b/guides/droit-penal/diffamation/> [15.06.2025].
[132] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.
[133] *McNamara L.,* Bigotry, Community and the (In)visibility of Moral Exclusion: Homosexuality and the Capacity to Defame, 6(4) Media & Arts Law Review, 2001, 271.

რესპოდენტის თქმით, თუ ცილისწამებისაგან თავის დაცვის შემდეგი გზები არსებობს:

1) ფაქტების სისწორის დემონსტრირება;
2) კეთილსინდისიერად მოქმედების შესახებ განცხადება.

ასევე სახეზე უნდა იყოს შემდეგი სიის ორი პირობა:

1) ცილისწამებად მიჩნეული მასალა გამოვლინდა ლეგიტიმური მიზნით, ანუ ინფორმაცია სასარგებლოა საზოგადოებისთვის;
2) და ასევე კონფლიქტში არ უნდა ვიყოთ მსხვერპლთან; [134]

ცილისწამებაში ბრალდებულს შეუძლია დაიცვას თავი ფაქტების სიმართლის ჩვენებით;[135] ბრალდებულმა ასევე უნდა დაამტკიცოს თავისი კეთილსინდისიერება. საერთო ჯამში, როგორც საჯარო ცილისწამება, ასევე არასაჯარო ცილისწამება წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც ისჯება ჯარიმით, რომელიც განსხვავდება მისი შინაარსის მიხედვით. ყველა შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა 3 თვეა.[136]

აღნიშნულმა ინტერვიუმ მართლაც, რომ კარგად წარმართა საფრანგეთსა და საქართველოს მაგალითზე შედარებით სამართლებრივი კვლევის ჩატარება, რამაც წარმოაჩინა, რომ უპრიანი იქნებოდა სანქციების დაწესების ნაწილში არსებობდეს ისეთივე იმპერატიული დათქმები როგორიც საფრანგეთში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი პოზიცია იყო ქართულ რეალობაშიც, იქამდე სანამ ცილისწამების დეკრიმინალიზაცია არ განხორციელდებოდა, კერძოდ კი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონმა გააუქმა სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი, რომელიც ცილისწამებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით ისჯებოდა ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ასიდან ორას საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ერთ წლამდე. სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში, დღეს ეს წესი აღარ მოქმედებს.

## 3.2. გერმანიაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებისას

საინტერესოა რა განსხვავებაა შეურაცხყოფას, ცილისწამებასა და დიფამაციას შორის? და როდის ისჯება ცილისწამება?[137]

ცილისწამება ნიშნავს „დამამცირებელ ლაპარაკს“.[138] ცილისწამების 3 სახესხვაობა არსებობს: შეურაცხყოფა, ცილისწამება და დიფამაცია.[139] ფაქტებიდან გამომდინარე, ცილისწამება გერმანიაში შეიძლება ისჯებოდეს თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით ან ჯარიმით. ცილისწამების სახესხვაობების ქოლგა სინამდვილეში არის ტერმინი ცილისწამება. ცილისწამება თავისუფლად შეიძლება ითარგმნოს როგორც „დამამცირებელი საუბარი“ ან „სახელის გამტეხი ცნობების გავრცელება“. [140]

---

[134] *Perloff R.M.*, Perceptions of “Amerika”, 19 Mass Communication Review, 1992, 42.
[135] *McNamara L.,* Reputation and Defamation, OUP, 2007, 67.
[136] ინტერვიუს რესპოდენტი – ასოცირებული იურისტი პარიზში Maître Nejma LABIDI.
[137] *Von Vechten V.,* The History and Theory of the Law of Defamation II, 4 C OLUM, 1904, 33, 33
[138] *Judith D.,* Signals in Social Supernets, 13 J. C OMPUTER-MEDIATED COMM , 2007, 12, 14.
[139] *Müller* 1913, 492-502; Miniconi 1959, 159-175.
[140] *Lik M.*, Notions of Reputation in Multi-Agents Systems: A Review, in PROCEEDINGS OF THE FIRST INTERNATIONAL JOINT CONFERENCE ON AUTONOMOUS AGENTS AND MULTIAGENT SYSTEMS: PART 1, Bologna, Italy, July 15–19, 2002, 78.

განცხადებები, რომლებიც გამოხატავს უპატივცემულობას ან უგულებელყოფას სხვა პირის პატივისა და ღირსების მიმართ, ითვლება შეურაცხყოფად (§185 StGB). აუცილებელია ამგვარი შეურაცხყოფა სხვა ადამიანებისათვის იყოს აღქმადი, მაშასადამე სახეზე უნდა იყოს მისი საჯარო ხასიათი. შეურაცხყოფა შეიძლება იყოს არა მხოლოდ სიტყვიერი ფორმით, არამედ ჟესტებით (მაგ. გაშლილი შუა თითი) ან თავდასხმით (მაგ. სახეში დარტყმა) გამოხატული. რა არის შეურაცხყოფა და რა არა, ყოველთვის სასამართლოში უნდა დაზუსტდეს.[141]

გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში, 2021 წლის სექტემბრიდან დაფიქსირდა ახალი სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება „შეურაცხყოფის წაქეზება" (192-ე მუხლი), კერძოდ კი ვინც შეურაცხყოფს, ბოროტად აგდებს ან ცილს სწამებს ინდივიდებს ან გარკვეულ ჯგუფებს მათი ეროვნული, რელიგიური ან ეთნიკური წარმომავლობის, მსოფლმხედველობის, მათი ინვალიდობის ან მათი სექსუალური ორიენტაციის გამო, ისჯება თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით ან ჯარიმით.

ცილისწამება (§186 StGB) სახეზეა, როდესაც თქვენ აცხადებთ არანამდვილ ფაქტს, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვის რეპუტაციას. არ აქვს მნიშვნელობა შეგნებულად ამბობთ სიმართლეს თუ არა. მაშინაც კი, თუ თქვენ შეცდომით თვლით, რომ ფაქტი სიმართლეა, ეს მაინც შეიძლება იყოს ცილისწამება. ცილისწამება (§187 StGB) ასევე ეხება არასწორი, ცილისმწამებლური ბრალდებების გავრცელებას. როგორც ცილისწამების შემთხვევაში, განცხადება უნდა გაკეთდეს მესამე პირისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ცილისმწამებელმა იცოდეს, რომ ბრალდება სიმართლეს არ შეესაბამება.[142]

- რას ნიშნავს სიტყვა „ცილისწამება"? ცილისწამება განისაზღვრება, როგორც სხვა პირის დაკნინება ისე, რომ მისი რეპუტაცია დაზარალდეს. [143]
- ისჯება თუ არა ცილისწამება კანონით? ცილისმწამებლური განცხადება ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს შეურაცხყოფის, დიფამაციის ან ცილისწამების დანაშაულს.[144]
- როგორ დავიცვა თავი ცილისმწამებლური განცხადებებისგან? გერმანული პრაქტიკით, შეგიძლიათ შეატყობინოთ ცილისწამების შესახებ პოლიციას ან შეიტანოთ სისხლის სამართლის საჩივარი შეურაცხყოფის შემთხვევაში. საქართველოში სისხლის სამართლის დევნა ცილისწამებაზე ველარ განხორციელდება, რადგან მისი დეკმინილაზია განხორციელდა.[145]

ვინმეს ცილისწამება ნიშნავს მასზე ცუდად ლაპარაკს და ამით მისი რეპუტაციის შელახვას.[146] გარკვეული კუთხით ცილისწამება ასევე შეიძლება იყოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სისხლის სამართლის დანაშაული, კერძოდ, როგორც შეურაცხყოფა, ცილისწამება ან დიფამაცია.[147]

---

[141] *კროპჰოლერი ი.,* (2014). გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 112.
[142] <https://www.dahag.de/c/ratgeber/strafrecht/diffamierung> [15.06.2025].
[143] *Hrysanthos D.,* The Digitization of Word of Mouth: Promise and Challenges of Online Feedback Mechanisms, 49 M GMT. SCI, 1407, 1407, 2003, 36.
[144] *Robin D.U.,* Grooming, Gossip and the Evolution of Language, 1996, 37.
[145] *კროპჰოლერი ი.,* (2014). გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 113.
[146] *Frederick G.B.,* Gifts and Poison, in Gifrs and Poison: The Politics of Reputation, 1, 4, F.G. Bailey ed., 1971.
[147] *Siegfried J.*, Sprachliche Gewalt gegenüber Minderheiten: Formen der sprachlichen Diffamierung in den Medien und im politischen Diskurs. In: Der Deutschunterricht, 59, 5, 2007, 11, 21.

გერმანიაში მოქმედი კანონმდებლობით, 1) თუ შეურაცხყოფა (მუხლი 185) ჩადენილია პირის მიმართ, რომელიც ჩართულია ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში და თუ ქმედება სავარაუდოდ გაართულებს მის საჯარო მუშაობას, სასჯელის სახით დაეკისრება თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით ან ჯარიმა.[148] ცილისწამება კერძო პირის მიმართ (მუხლი 186) ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამი თვიდან ხუთ წლამდე ან ჯარიმით.[149]

გერმანიაში მოქმედი წესების განხილვა, ვფიქრობ კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა შედარებით სამართლებრივი კვლევა, რაც უფრო სიღრმისეულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს აღნიშნული საკითხების გარშემო.

## 4. სახელისგამტეხი ცნობების გაჟღერებით დამდგარი ზიანის სახეები და მისგან დაცვის მექანიზმები

### 4.1. დიფამაციით დამდგარი ზიანის სახეები

დიფამაციური ინფორმაციის გაჟღერებისას ზიანი შეიძლება იყოს როგორც მორალური, ასევე მატერიალური (ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, მიუღებელი შემოსავალი).[150] აუცილებელია ვისაუბროთ თითოეულ მათგანზე, კერძოდ:

**ფაქტობრივი ზიანი,** რომელიც შესაძლოა მიადგა პირს, რომელსაც ეხებოდა დიფამაციური ინფორმაცია, მტკიცებადი კატეგორიაა.[151] ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დაასაბუთოს მატერიალური ზიანის, მაშასადამე ფაქტობრივი ზიანის ან მიუღებელი შემოსავლის რეალური არსებობა, ასევე საჭიროა დაამტკიცოს გავრცელებულ ინფორმაციასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის რეალური არსებობა და დააზუსტოს იმ ზიანის ზუსტი ოდენობა, რომელიც დაზარალებულს მიადგა სახელისგამტეხი ინფორმაციის გავრცელებით.[152]

რაც შეეხება **მორალურ ზიანს,** ამ შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი ინფორმაცია ლახავს, თუ არა, პირის პატივს, ღირსებასა, თუ საქმიან რეპუტაციას და ამ შელახვით იწვევს, თუ არა მის ფსიქიკურ და სულიერ ტანჯვას.[153] **მორალური ზიანის** მტკიცებასთან დაკავშირებით, საგულისხმოა მისი სასამართლოსეული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც, „ტერმინი „მორალური ზიანი" სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს.[154]

---

[148] *Christian H.,* Social Reputation: A Mechanism for Flexible Self-Regulation of Multiagent Systems, 10 Journal of Artificial Societies and Social Simulation, 3.1, 2007.

[149] <https://www.anwalt.org/diffamierung/> [15.06.2025].

[150] *Price D., Nicole Cain* and *Korieh Duodu,* Defamation Law, Procedure and Practice, 4 th edn, Sweet & Maxwell 2009, 67.

[151] *Mutz D.C.,* The Influence of Perceptions of Media Influence: Third Person Effects and the Public Expression of Opinions, 1989, 1.

[152] *Milmo P., Rogers W.V.H.,* Gatley on Libel and Slander, 11th edn, Sweet and Maxwell, *More, Daniel,* 'Informers Defamation and Public Policy' (1989) 19 Georgia Journal of International and Comparative Law, 2008, 502.

[153] *Perloff R,M.,* Perceptions and Conceptions of Political Media Impact: The Third-Person Effect and Beyond in Ann N. Crigler (ed.), The Psychology of Political Communication, The University of Michigan Press, 1996, 197.

[154] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1586-1489-2012.

## 4.2. მიუღებელი შემოსავალი როგორც დიფამაციით დამდგარი ზიანის ერთ-ერთი სახე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა მიუღებელი შემოსავლის სახით, დამდგარი ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის საქმეზე N ას-459-438-2015.

მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს "წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს" (pure economic loss), რომელიც მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, მხარეთა შორის ურთიერთობა ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.[155]

იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მეორე მხარის არაკეთილსინდიესრ მოქმედებასთან.[156] პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს.[157]

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.[158]

ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორისათვის ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ასევე მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანი. [159]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე და 411-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის შედეგად უნდა ითქვას, რომ მიუღებელ შემოსავლად იმ სარგებლის მიჩნევა, რაც ეკონომიკური ბაზრის ჩვეულებრივი ფუნქციონირების გათვალისწინებით შეიძლება მეწარმე სუბიექტს მიეღო, სრულიად ლოგიკურია.[160] სწორედ ამიტომ, გამართლებულია მეწარმე სუბიექტების შემთხვევაში მიუღებელ შემოსავლად იმ ზიანის მიჩნევა, რომელსაც მეწარმე სუბიექტი დიფამაციური ინფორმაციის არ გავრცელების შემთხვევაში აუცილებლად მიიღებდა.[161]

მიუღებელი შემოსავალი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა ანაცდური მოგება. ამასთან, მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. სასამართლო პრაქტიკაში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. საჭიროა, რომ ყველა მნიშვნელოვანი გარემოების შეფასებიდან ჩანდეს მისი დადგომის შესაძლებლობა. არაა აუცილებელი მაქსიმალური ალბათობა.[162]

---

155 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-459-438-2015.

156 *Price D., Cain N., Duodu K.,* Defamation Law, Procedure and Practice, 4 th edn, Sweet & Maxwell, 2009, 54.

157 *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001. 463, 464.

158 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე No2ბ/1938-11.

159 *Driscoll P.D., Salwen M.B.,* Self-Perceived Knowledge of the OJ Simpson Trial: Third-Person Perception and Perceptions of Guilt, 74 Journalism & Mass Communication Quarterly, 1997, 541.

160 *ძლიერიშვილი ზ.,* და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, 653.

161 Pound R., Interests of Personality, 28(4) Harvard Law Review, 1915, 343.

162 *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, 463, 464.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს ზიანის ანაზღაურება ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება“. უზენაესი სასამართლო მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საკითხს საკმაოდ ფრთხილად ეკიდება. ის ფაქტი, რომ მტკიცების ტვირთი კრედიტორის მხარესაა, სასამართლოს აზრით, გულისხმობს მიუღებელი შემოსავლის დასადასტურებლად უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას.[163]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით განსაზღვრავს აგრეთვე, მისი ანაზღაურების მოცულობასა და ოდენობას. მიუღებელ შემოსავალს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლების მიხედვით წარმოადგენს ყველა ქონებრივი პოზიცია, რის მიღებასაც დაზარალებული მოახერხებდა ზიანის გამომწვევი შემთხვევის დადგომის გარეშე.[164] შესაძლო ქონებრივი სარგებლის სპექტრი, რომელსაც დაზარალებული დამზიანებლის ქმედების გამო უშვებს ხელიდან, საკმაოდ ფართოა, მოიცავს, როგორც შრომით შემოსავალს, ასევე ქონებრივი სიკეთეების რეალიზების შედეგად მიღებულ მოგებას.[165]

მიუღებელი შემოსავლის მოცულობის დადგენისათვის გადამწყვეტია არა დაზარალებულის დაზიანების მომენტი, არამედ წყაროს თავისი შედეგებითურთ აღმოფხვრის მომენტი. გამომდინარე იქიდან, რომ მიუღებელი შემოსავალი, ჩვეულებრივ, არ დგება დროის ერთ კონკრეტულ მონაკვეთში, არამედ მისი მოცულობა იზრდება ზიანის მომტანი ქმედების შედეგების სრულ გამოსწორებამდე.[166] გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში, ზოგადად უთითებენ იმ ფაქტზე, რომ ზიანის მოცულობის დადგენისას გასათვალისწინებელია მოვლენათა განვითარების დინამიკა დამაზიანებელი ქმედებიდან უკანასკნელ ზეპირ სხდომამდე, თუმცა მატერიალურ-სამართლებრივად მხოლოდ პოზიტიური ზიანის რესტიტუციის ვალდებულების შესრულების მომენტია მნიშვნელოვანი, რომელიც შეიძლება დაემთხვეს უკანასკნელ ზეპირ სხდომას.[167] მხოლოდ ზიანის წყაროს აღმოფხვრის მომენტში არის დადგენადი, დაკარგა თუ არა დაზარალებულმა შემოსავალი და დროის რა მონაკვეთისათვის უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება.[168]

## 4.3. პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გამოქვეყნებით დამდგარი ზიანის ანაზღაურების საკითხი

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თუ სახელისგამტეხი ფაქტების უარყოფა ან მათი შესწორება საკმარისი არ იქნება, დაზარალებულის სასარგებლოს მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

---

[163] *ძლიერიშვილი ზ.*, და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, 654.
[164] *სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ.,* სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016, 176-177.
[165] *Magnusson R.,* Freedom of Speech in Australian Defamation Law:Ridicule, Satire and Other Challenges, 9 Torts Law Journal, 2001, 269.
[166] *LexisNexis A.*, Australian Defamation Law & Practice. Lidsky L.B., Defamation, Reputation, and the Myth of Community, 71(1) Washington Law Review, 1996, 1.
[167] *Hart J.D.,* Why Expert Testimony on the Meaning of Language has no Place in Libel Suits' in David A. Schulz, Libel & Newsgathering Litigation – Getting & Reporting the News, Practising Law Institute, 1998, 510.
[168] *რუსიაშვილი გ.,* სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, 411 მ. <http://www.gccc.ge/> [15.06.2025].

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია შევისწავლოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1011-972-2016, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი.[169]

ევროსასამართლოს განმარტებით, როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძვლით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს (***Dichand and Others v. Austria***).

სასამართლოს თქმით, ცილისწამების შემადგენლობის უმთავრესი ელემენტია სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება.[170]

2012 წლის 24 სექტემბრის საქმეში **№ას-677-638-2011,** უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომელიც რეალობისგან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია.[171]

სასამართლო იმოწმებს ევროსასამართლოს განმარტებას, რომელიც აღნიშნავს, რომ რამდენადაც სერიოზულია ბრალდება, იმდენად სერიოზული უნდა იყოს ფაქტობრივი საფუძველი (***Abeberry v France***). შეუძლებელია, თუნდაც სამოქალაქო საქმეზე, პირს იმის მტკიცება მოეთხოვებოდეს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია და, ამდენად, ამ ინფორმაციის შემცველი განცხადება ცილისმწამებლურია. ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას.[172]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების" შესახებ კანონის მე-14 მუხლით – „პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება".[173]

მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს შემდეგი:

---

[169] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1477-1489-2011.

[170] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1011-972-2016.

[171] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-677-638-2011.

[172] *Gunther A.C.,* What We Think Others Think: Cause and Consequence in the Third-Person Effect, 18(3) Communication Research, 1991, 355.

[173] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების" შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;

ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;

გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა;

დ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა ან/და საქმიან რეპუტაციას.[174]

მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით სასამართლოს მოხმობილი აქვს "**McVicar**"[175]-ის საქმე, სადაც ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მე-10 მუხლთან პრინციპულად შეუთავსებელი არ იყო ცილისწამების საქმეებზე მოპასუხისათვის დიფამაციური განცხადებების სიმართლის მტკიცების დაკისრება. სასამართლომ მიუთითა **"Bladet Tromso and Stensaas"**[176]-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, სადაც მან განმარტა, რომ გაზეთის გავრცელებამდე ფაქტების შესახებ განცხადებების გადამოწმება წარმოადგენდა სრულიად ორდინარულ ვალდებულებას.

ევროსასამართლოს მიდგომა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით არ არის იმგვარი, რომ ფაქტების სისწორის მტკიცება ყოველთვის მოპასუხეს ეკისრებოდეს (მაგალითად, სახელმწიფო მოხელეთა მიერ აღძრულ საჩივრებში ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ტვირთის დაკისრება აზრის გამომხატველისთვის წარმოადგენს მე-10 მუხლის დარღვევას), არამედ სასამართლო მიიჩნევს, რომ ჟურნალისტმა თავისი „მოვალეობისა და პასუხისმგებლობის" შესრულება უნდა დაამტკიცოს.[177]

მედიის წარმომადგენლებს არ უნდა მოეთხოვოთ ასი პროცენტით გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, თუმცა გონივრულ ფარგლებში გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელების სტანდარტის დაცვა აუცილებელია, რომ არ გაუფასურდეს დემოკრატიული ფასეულობები.[178] ქცევის ამგვარი სტანდარტის დაწესება სრულად შეესაბამება სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს.[179] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პრესის თავისუფლებისაგან განუყოფელია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა", მათ შორის მნიშვნელოვანია, ჟურნალისტი, საჭიროების შემთხვევაში, გაემიჯნოს რესპონდენტების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და იზრუნოს იმისათვის, რათა ნებსით თუ უნებლიეთ არ გადაიქცეს სიძულვილის მომწოდებელი განცხადებების გამავრცელებლად.[180]

---

174 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-677-638-2011.

175 <https://temida.ge/fullcase/2893/--.pbn> [15.06.2025].

176 <https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/bladet-tromso-and-stensaas-v-norway/> [15.06.2025].

177 *Dent Ch.,* Defamation Law's Chilling Effect: a Comparative Content Analysis of Australian and US Newspapers, 9(2) Media & Arts Law Review, 2004, 89.

178 *George P.,* Damages Survey for Defamation, paper presented at Media Law and Defamation, seminar, Centre for Continuing Legal Education course, Faculty of Law, University of New South Wales, 14 March, 2003.

179 *David P., Johnson M.,* The Role of Self in Third-Person Effects about Body Image, 48(4) Journal of Communication 1998, 37.

180 *Brosius H.B., Engel D.,* The Causes of Third-Person Effects: Unrealistic Optimism, Impersonal Impact, or Generalized Negative Attitudes Towards Media Influence?, 8(2) International Journal of Public Opinion Research 1996, 142.

როდესაც სტატია ფაქტებს ეხება, მნიშვნელოვანია, დასტურდებოდეს ჟურნალისტის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულება: მისი მხრიდან ფაქტების გადამოწმება და კრიტიკის ობიექტისათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ პრესის მეშვეობით პასუხი გასცეს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს. მათი შეუსრულებლობა ბადებს საფუძვლიან ეჭვს ჟურნალისტის განზრახვასთან მიმართებით, მას ამოძრავებს საზოგადოების ინფორმირების სურვილი თუ თავს ესხმის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომლის მიზანი შეურაცხყოფა და რეპუტაციის შელახვაა.[181]

საკასაციო პალატა იზიარებს ევროსასამართლოს მიდგომას, რომ, როდესაც ჟურნალისტი „არაკეთილსინდისიერად" მოქმედებს, მისი (ჟურნალისტის) დაცვის ხარისხი გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა შემთხვევაში.[182] კონვენციის მეათე მუხლი ითვალისწინებს როგორც უფლებებს, ასევე – ვალდებულებებს, რომლებიც უნდა დაიცვას პირმა, თუკი იგი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს. ეს მოვალეობები პრესაზეც ვრცელდება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება პირის რეპუტაციის შელახვას. მეათე მუხლის თანახმადვე, ჟურნალისტები კეთილსინდისიერად უნდა მოქმედებდნენ და უზრუნველყოფდნენ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას ჟურნალისტური ეთიკის საფუძველზე (***Bladet Tromso and Stensaas v. Norway***).[183]

როდესაც ერთი მხრივ არსებობს ფაქტის შესახებ განცხადება, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება და მეორე მხრივ, ჟურნალისტი განიხილავს ჭეშმარიტი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს, ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტის პროფესიონალური ქცევის და კეთილსინდისიერების შემოწმება ხდება გადამწყვეტი მნიშვნელობის ***(Kasabova v. Bulgaria, Flux v. Moldova*).**[184]

საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტებისათვის კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე მინიჭებული დაცვა იმ წინაპირობას გულისხმობს, რომ ისინი მოქმედებენ კეთილსინდისიერად, რათა უზრუნველყონ ზუსტი და საიმედო ინფორმაციის გადაცემა.[185] მართალია, ჟურნალისტის მხრიდან გაზვიადება და გადაჭარბება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა, მაგრამ პრესამ არ უნდა გადალახოს გარკვეული საზღვრები, განსაკუთრებით, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით.[186]

გამოხატვის თავისუფლება რამდენიმე უფლებას აერთიანებს და დაცვის სფეროებიც განსხვავებულია, კერძოდ, განსხვავებულია მიდგომა მედიასაშუალებების მიერ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებაზე, როდესაც სასამართლო ვალდებულია, გადაწყვეტილება კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის დაცვის პირობებში მიიღოს.[187] ასე-

---

[181] *Arend P.S.,* Defamation in an Age of Political Correctness: Should a False Public Statement that a Person is Gay be Defamatory?, 18 North Illinois University Law Review, 1997, 99.

[182] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-677-638-2011.

[183] <https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/bladet-tromso-and-stensaas-v-norway/>[15.06.2025];

[184] <https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/case-of-kasabova-v-bulgaria/> [15.06.2025].

[185] *George P.,* 'Damages Survey for Defamation', paper presented at 'Media Law and Defamation' seminar, Centre for Continuing Legal Education course, Faculty of Law, University of New South Wales (14 March 2003) 56.

[186] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-677-638-2011.

[187] *George P.,* 'Damages Survey for Defamation', paper presented at 'Media Law and Defamation' seminar, Centre for Continuing Legal Education course, Faculty of Law, University of New South Wales (14 March 2003) 56.

ვე, განსხვავებულია დაცვის სტანდარტი, საჯარო პირის მიმართ ინფორმაციის გავრცელება-ზე, რომელსაც საზოგადოებრივი თუ თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, თმე-ნის მომეტებული ვალდებულება ეკისრება, მაგრამ, მოცემულ საქმეზე მედიის უფლებას, თა-ვისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, უპირისპირდება მოსარჩელეთა რეპუტაცი-ის უფლება, რომელიც აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხ-ლის მე-4 პუნქტითა[188] და კონვენციის მე-10 მუხლით[189].

გამოხატვის ძირითადი უფლება დაკარგავს თავის არსს, თუკი მას მოეხსნება შეზღუდ-ვის კონსტიტუციური საფუძვლები. ამდენად, სხვათა უფლებების და ღირსების დაცვა წარმო-ადგენს გამოხატვის თავისუფლებისათვის დაწესებულ კონსტიტუციურ საპირწონეს. [190]

ღირსებისა და რეპუტაციის საკითხს, საქართველოს კონსტიტუცია და ევროპული კონვენცია განიხილავს, როგორც გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს. პირთა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა კი, უპირველეს ყოვლისა, მათი უფლებების დაცვაა, რომ ცნობები მათი ქცევის, საქმიანობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს გარშემომყოფთა მიერ მათ შეფასებაზე, სინამდვილეს შეე-საბამებოდეს.

ევროსასამართლოს განმარტებით, განცხადების შეფასებისას მნიშვნელოვანი ელემენ-ტია, რამდენად შეიცავს იგი შეურაცხმყოფელ ტერმინებს, ასევე, მათი შინაარსი და გავლენა საზოგადოებაზე (***Chauvy v France***).[191]

საჯარო პირებთან მიმართებით „დასაშვები კრიტიკის" ფარგლები უფრო ფართოა, ვიდ-რე კერძო პირებთან, თუმცა გამოხატვის თავისუფლება იმდენად არ უნდა გაფართოვდეს, რომ მან დაკარგოს თავისი არსი, რაც სხვათა უფლებების გადაჭარბებულ ხელყოფაში გამოი-ხატება.[192]

მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელებისას ფიზიკური პირის მიმართ ზია-ნი არაქონებრივი სახით – პირის პატივისა და ღირსებისა შელახვით არის გამოვლენილი. უზე-

---

188 „გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუ-ცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველ-საყოფად";

189 „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელის-უფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სა-ხელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალ-დებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთ-ხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერ-ძოებლობის უზრუნველსაყოფად".

190 *McNamara L.,* Bigotry, Community and the (In)visibility of Moral Exclusion: Homosexuality and the Capacity to Defame, 2001, 6(4) Media & Arts Law Review, 2001, 271.

191 <https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-61861%22]}> [20.05.2025].

192 *Treiger-Bar-Am L.K.,* Defamation Law in a Changing Society: the Case of Youssoupoff v Metro-Goldwyn Mayer, 20 Legal Studies, 2000, 291.

ნაესი სასამართლოს განმარტებით, არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, და მას არ გააჩნია ღირებულება, ამ ზიანის დამტკიცებისათვის სპეციალური კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია.[193]

კონვენციის მიხედვით, **დიფამაციისათვის** მინიჭებული ზიანის ანაზღაურება უნდა გულისხმობდეს რეპუტაციისათვის მიყენებულ ზიანთან პროპორციულ და გონივრულ შესატყვისობას **(Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom).**[194]

სსკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. მართალია, სსკ-ის მე-18.6 მუხლიდან, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეული შელახვა), გამომდინარეობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა იურიდიული პირის სარჩელთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკით დადგენილია დამატებითი შეზღუდვები. იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც თვისებრივად არ უტოლდება ადამიანს.[195]

პიროვნულ უფლებათაგან ნაწილი იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით გააჩნდეს. იურიდიულ პირს არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორიცაა: პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.[196] საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა, და სხვა).[197]

პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევად / შელახვად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ქმედება (განცხადების ან ფაქტის, ულირსი საქციელის შესახებ ცნობის ან სხვა სახის ცნობის / ინფორმაციის გავრცელება), რომელიც მე-18 მუხლში ჩამოთვლილი უფლებებიდან ერთს ან რამდენიმეს ხელყოფს.[198]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის პირველ ნაწილში დაცულია როგორც სახელის ტარების უფლება ასევე სხვის მიერ სახელის უნებართვოდ ტარებისა და სარგებლობისთვის მოქმედების შეწყვეტის ან მასზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი.[199]

განხილული გადაწყვეტილებით პასუხი ეცემა ისეთ მნიშნელოვან კითხვებს, თუ, როგორ უნდა მოხდეს სასამართლოს წინაშე, როგორც მორალური ისე მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რა სტანდარტები უნდა იქნას ამგვარი მოთხოვნის დაყენებისას დაცული და საერთოდ როგორია სასამართლოს ხედვა ამგვარი სადაო საკითხების განხილვი-

[193] საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1477-1489-2011.

[194] <https://www.zmogausteisiugidas.lt/en/case-law/tolstoy-miloslavsky-v-the-united-kingdom>[20.05.2025].

[195] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-677-638-2011.

[196] *Pound R.,* Interests of Personality, 28(4) Harvard Law Review, 1915, 343.

[197] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1052-1007-2014;

[198] *Rolph D., Vitins M., Bannister J.,* Media Law: Cases, Materials and Commentary, OUP, 2010, 87.

[199] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილი.

სას. ზემოთ მოცემული სასამართლო გადაწყვეტილება არის არამარტო ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო გადაწყვეტილებებით გამდიდრებული, რაც კიდევ უფრო მეტად საინტერესოს ხდის განხილულ საკითხს.

## 4.4. დიფამაციური ინფორმაციის გავრცელებისას საკუთარი უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოში

საინტერესოა სახელისგამტეხი ინფორმაციის გავრცელებისას თავის დაცვის რა სამართლებრივი მექანიზმები და წინაპირობების არსებობს საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით, ცალსახად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების უარყოდა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი ცილისწამების დავის წარმოებისას. ასეთი მოთხოვნა აუცილებელია იყოს კონკრეტული და უნდა გამომდინარეობდეს თავად სახელისგამტეხი სადავო განცხადების შინაარსიდან.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ განიხილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 3 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-1544-1464-2017, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა ცილისმწამებლური ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლომ მოიხმო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და განმარტა, რომ თუ გავრცელებული ცნობები დემოკრატიული საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებით მიღებული მორალური დისკომფორტი მასმედიის გამოხატვის თავისულების შესაზღუდად საკმარისი არ არის.[200]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლით, საჯარო პირის ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია გავრცელებული ცნობები იყოს მცდარი; მათი გავრცელების შედეგად პირს მიადგეს ზიანი და ამ ფაქტების მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყოს ცნობილი ან – უცნობი, ოღონდ აშკარა და უხეში დაუდევრობით.[201]

სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა:

1) უფლების შემლახველი ცნობები გამოქვეყნებული უნდა იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით;
2) გავრცელებული ცნობები არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს და მიმართული უნდა იყოს მხოლოდ პირის დისკრედიტაციისაკენ;
3) მოპასუხემ არ უნდა მიიღოს გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად და არ უნდა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად;
4) მოპასუხე მიზნად არ უნდა ისახავდეს საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და მისი მიზანი მხოლოდ პირის დისკრედიტაცია უნდა იყოს. ამასთან, საყურადღებოა, რომ პირის დადანაშაულება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ან/და ბოროტად გამოყენებაში სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე და აღნიშნულის უპი-

[200] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-1544-1464-2017.

[201] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

რობოდ გაცხადება წარმოადგენს „უდანაშაულობის პრეზუმფციის" აშკარა დარღვევას და არ შეიძლება ემსახურებოდეს საზოგადოების კანონიერ ინტერესს;

5) მოპასუხის განცხადებები არ უნდა წარმოადგენდეს სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.[202]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლი აწესებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას. აღნიშნული მუხლის თანახმად, ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა განცხადებას.[203]

სასამართლომ ყურადღება შეაჩერა ხანდაზმულობის ვადაზე, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე საკუთარი მოთხოვნის დაცვის ნებას ავლენს და გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავს დარღვეული უფლების აღსადგენად, ამასთან, აღნიშნული ნორმის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ მხარის მიერ არჩეული საშუალება ვარგისი იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად.[204] ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი სარჩელი (განცხადება) წყვეტს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს. სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით უნდა შეიძლებოდეს. თითოეულმა მხარემ თავად უნდა შეარჩიოს საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სწორი და ეფექტური საშუალება, ამ პირობის დარღვევით გამოწვეული შედეგები კი, თავად მხარის რისკია.[205] ასევე, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული იურიდიული მოქმედებებიდან ერთ-ერთის განხორციელებას მხოლოდ მაშინ მოჰყვება ამავე ნორმაში მითითებული სამართლებრივი შედეგი, ვიდრე ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასული ვადის დენის შეწყვეტაზე საუბარი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.[206]

მოცემული სასამართლო გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ საკუთარი უფლების დაცვისას აუცილებელია მოთხოვნა ჩამოყალიბებული იქნას, კონკრეტულად, ლაკონურად, გასაგებად და აღნიშნული განმტკიცებული იქნას უტყუარი მტკიცებულებებით, ასევე გასათვალისწინებელია სპეციალური კანონის იმპერატიული მოთხოვნები, კერძოდ ხანდაზმულობის 100 დღიანი ვადა.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მარტოოდენ ფორმალური უარყოფა გაჟღერებული სახელისგამტეხი ინფორმაციისა შედეგის მომტანი არ არის, განსაკუთრებით მაშინ თუ ადგილი აქვს სოციალურ მედიაში ცილისწამების საკითხის გადაწყვეტას.[207] გავრცელებული

---

[202] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-1544-1464-2017.

[203] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

[204] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-1544-1464-2017.

[205] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1586-1489-2012.

[206] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-960-909-2015.

[207] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-1544-1464-2017.

ცნობების უარყოფის დავალების მამოძრავებელი ძალა იმისკენ მიისწრაფვის, რომ მისი მიზანი შესრულდეს, კერძოდ კი ყველასათვის საჯაროდ აღქმადი გახდეს ამგვარი უარყობა.[208] მაგალითად, საკუთარი სოციალური ქსელის კედელზე ორი წუთის განმავლობაში ამგვარი უარყოფის შესახებ განცხადება ცხადია ვერ შეასრულებს დასახულ მიზანს.[209] შესაბამისად, აუცილებელია სასარჩელო მოთხოვნაში დაკონკრეტდეს სამი მნიშვნელოვანი რამ:

1) რამდენი ხნით უნდა განათავსოს პირმა უარმყოფელი განცხადება;
2) რა ფორმით უნდა გასაჯაროვდეს უარმყოფელი განცხადება;
3) გადაწყვეტილების გამოტანიდან რამდენი ხნის შემდეგ უნდა გამოქვეყნდეს უარმყოფელი განცხადება;[210]

## 5. დიფამაციის ადგილი სოციალურ მედიაში

### 5.1. სოციალურ მედიაში სახელისგამტეხი ინფორმაციის გავრცელების გამოვლინებები

სოციალური მედიის განვითარებამ, რაც უპირველესად სოციალური ქსელების სიმრავლით აიხსნება, საზოგადოებას მეტი შესაძლებლობა მიეცა ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებისათვის, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით შეიძლება გამოიხატოს, საკუთარი სოციალური ქსელის „კედელზე" პოსტის ან „სთორის" დადებით.[211] აღსანიშნავია, რომ ცილისმწამებლური ინფორმაციის გაჟღერების კატეგორიაში შეიძლება გავიდეს სხვის პოსტზე გაკეთებული კომენტარიც, რომელიც არსებითად მცდარ და სახელისგამტეხ ინფორმაციას შეიცავს.[212]

საინტერესოა რა იგულისხმება სახელისგამტეხი ფაქტების „საჯაროდ გავრცელებაში". ამ მიმართებით გასათვალისწინებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, „საჯაროდ გავრცელება" არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა, თუ ტელევიზიაში გახმაურებას, აღნიშნული უნდა იყოს პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიმართული და არ უნდა შემოიფარგლებოდეს მარტოოდენ ორ პირს შორის პირადი საუბრით, გარდა იმ შემთხვევისა თუ არ მოხდა ასეთი ინფორმაციის გასაჯაროება (სქრინებით ან სხვა საშუალებები) თავად სახელისგამტეხი ფაქტების გამჟღერებლის მხრიდან.[213]

აღსანიშნავია, რომ მედიის საქმიანობა, უპირველესად კონსტიტუცით განისაზღვრება და სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებით ასახვას პოვებს სპეციალურ კანონებში. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს თანამედროვე მედიასამართალში განხორციელებული საინტერესო სიახლე, რომელიც წარმოგვიდგენს გერმანულ მიდგომას სოციალური მედიის მიმართ, რომლის თაობაზეც 2017 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი.

---

[208] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1586-1489-2012.
[209] *Rolph D., Vitins M., Bannister J.,* Media Law: Cases, Materials and Commentary, OUP, 2010, 43.
[210] *Simon G., Herrmann B.,* Human Cooperation From an Economic Perspective, in COOPERATION IN PRIMATES AND HUMANS 279, P. Kappeler & C.P. van Schaik eds., 2006, 31.
[211] *ჯორბენაძე ს.,* ცილისწამება სოციალურ მედიაში და უფლების დაცვის სამართლებრივი გზები, ჟურნალი: „ჩემი ადვოკატი", 2022.
[212] *Rolph D., Vitins M., Bannister J.,* Media Law: Cases, Materials and Commentary, OUPM 2010, 42.
[213] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1278-1298-2011.

1) აღნიშნული ახალი კანონი მიზნად ისახავს, დასჯადი ინფორმაციის გავრცელების აღმოფხვრასა და
2) სიძულვილის ენის შემცირების საკითხის რეგულირებას.[214]

ყოველივე ეხება სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს არამარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. საფრანგეთისა და გერმანიისაგან განსხვავებით, საქართველოსათვის ამ სფეროს რეგულირება დღემდე დიდი გამოწვევაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 5 მარტის განჩინებით საქმეზე №ას-810-2019, ცილისწამების აუცილებელ პირობად სასამართლოს მიაჩნია მისი გასაჯაროების ფაქტი.[215] აქ ჩნდება ბევრი კითხვა. კერძოდ, თუ ჩემ სოციალურ გვერდზე განვათავსებ პოსტს, რომელიც არ იქნება საჯარო და მხოლოდ პირთა შეზღუდული წრისათვის იქნება გათვლილი, ჩაითვლება თუ არა გასაჯაროვებად? საინტერესოა შემთხვევა როდესაც ადგილი აქვს პირად მიმოწერას ორ ადამიანს შორის, ჩაითვლება თუ არა ეს უკანასკნელი ცილისწამებად? როგორ გადაწყდება ცილისწამებად კვალიფიკაციის საკითხი თუ ადგილი ექნება პირადი მიმოწერის „სქრინების" გასაჯაროებას?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, საჭიროა სისტემური კვლევის ფარგლებში შევისწავლოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 5 მარტის განჩინება საქმეზე №ას-810-2019.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მიხედვით, ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო; „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, პირს ეკისრება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს **არსებითად მცდარ ფაქტს** უშუალოდ მოსარჩელის შესახებ **და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.**[216] ამავე კანონის პირველი მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, **განცხადება არის ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო.**[217] მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე ამტკიცოს შემდეგი: **ა)** მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; **ბ)** სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; **გ)** სადავო განცხადება ზიანს აყენებს მოსარჩელის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.[218]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, კერძო პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით, საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან დაიცვას; პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვად ჩაითვლება ისეთი განცხადების

---

[214] *ჯორბენაძე ს.*, ცილისწამება სოციალურ მედიაში და უფლების დაცვის სამართლებრივი გზები, ჟურნალი: „ჩემი ადვოკატი", 2022.

[215] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 5 მარტის განჩინება საქმეზე №ას-810-2019.

[216] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

[217] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ა" ქვეპუნქტი.

[218] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 5 მარტის განჩინება საქმეზე №ას-810-2019.

ან ფაქტის გავრცელება, რომელიც მე-18 მუხლში ჩამოთვლილი არაქონებრივი უფლებებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს ხელმყოფია და რომელიც კანონის ან მორალის, ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ მტკიცებას შეიცავს; სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.[219]

სპეციალური კანონით საჯარო და კერძო პირის ცილისწამება გამიჯნულია და სხვადასხვა მუხლებითაა მოწესრიგებული აღნიშნულს დიდი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან კერძო--სამართლებრივ ურთიერთობებს, ჩვეულებრივ, შესაძლოა, თან ახლდეს მორალური ტკივილი, სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი. კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება (სსკ-ის 413-ე მუხლი). განსახილველი სამართლებრივი დანაწესის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი უზრუნველყოფილი იქნეს.[220] ასევე, სპეციალური კანონის მე-13 მუხლი, რომელიც კერძო პირის ცილისწამებისთვის სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, საჯარო პირის ცილისწამებისგან განსხვავებით, შეურაცხმყოფელი განცხადების გავრცელების ფაქტის დადგენას სავალდებულოდ არ მიიჩნევს, შესაბამისად, კერძო პირის შემთხვევაში, მას უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს თავისი პატივისა და ღირსების დასაცავად, მაშინაც კი, როდესაც ცილისწამების გავრცელება არ მომხდარა, თუმცა, ასეთ დროს, მან უფრო მაღალი ლეგიტიმაციის არგუმენტებით უნდა დაადასტუროს პატივისა და ღირსების შელახვის ვარაუდი.[221] აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ, ზოგადად, შეურაცხმყოფელი ფაქტების ფართო მასებში გავრცელება პირის პატივსა და ღირსებას საზოგადოების თვალში აკნინებს, შესაბამისად, მას უფრო მეტ ზიანს აყენებს, ვიდრე პირად სივრცეში, თუნდაც, იმავე სახის შეურაცხყოფის მიყენება.[222]

სპეციალური კანონის მე-13 მუხლის ასამოქმედებლად აუცილებელია, დადგინდეს, რომ მოპასუხის განცხადება უშუალოდ მოსარჩელის შესახებ არსებითად მცდარ ფაქტს შეიცავს და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა;

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას გულისხმობს, რომლის სისწორე თუ მცდარობა მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზეა დამოკიდებული. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას.[223]

„სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის თანახმად, ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასი-

[219] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლი.

[220] *ჯორბენაძე ს.*, ცილისწამება სოციალურ მედიაში და უფლების დაცვის სამართლებრივი გზები, ჟურნალი: „ჩემი ადვოკატი“, 2022.

[221] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

[222] *ჯორბენაძე ს.*, ცილისწამება სოციალურ მედიაში და უფლების დაცვის სამართლებრივი გზები, ჟურნალი: „ჩემი ადვოკატი“, 2022.

[223] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

ათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე – სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია.[224]

სასამართლომ აღნიშნა, რომ აზრში იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამები, რომელიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან და რომლის მართებულობა პირად შეფასებაზეა დამოკიდებული. აზრი არ ექვემდებარება სისწორისა და მცდარობის მტკიცებას. სპეციალური კანონიდან გამომდინარე, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით თუ მისი გასაჯაროების შემთხვევაში არ შეილახება სხვათა უფლებები.[225]

შეფასებითი მსჯელობის, თვალსაზრისისა და სხვა შეხედულების გამოხატვა, რომელიც პოზიციის დაფიქსირებას, პიროვნების, საგნის ან მოვლენის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვას წარმოადგენს, სამართლებრივ ფარგლებში დაცულ ძირითად უფლებათა გამოვლინებად მიიჩნევა და იგი არ ჩაითვლება ცილისწამებად.[226] ხშირ შემთხვევაში აზრი ეყრდნობა ფაქტს, ხოლო ფაქტი წარმოადგენს აზრის საფუძველს, რომლითაც ადასტურებს ან უარყოფს მას.[227]

სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მიზანი, უპირველესად გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვაა. ამ მიზნით შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნის დაყენების უფლება გააჩნია პირს, რომლის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია.[228] პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფად ჩაითვლება, თუ არსებობს რაიმე ცნობის (ფაქტის) გავრცელება და ეს ცნობა შეიცავს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას.[229] ამდენად, არაქონებრივი უფლებების დარღვევის იურიდიული კვალიფიკაციისათვის საკმარისია სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული ერთ-ერთი სიკეთის ხელყოფაც, რომელიც კანონის ან მორალის ნორმების დარღვევას, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ მტკიცებას შეიცავს.[230] არაქონებრივ უფლებათა დაცვის ფორმებია: არაქონებრივ უფლებათა აღიარება, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მათზე უარის თქმა (უარყოფა) და ასევე – არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. თითოეულის არსებობისათვის საჭიროა ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე სიკეთე მაინც შეილახოს.[231]

აღსანიშნავია, რომ მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც მატერიალურად არაფერი შეესაბამება (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვა).[232] პირს ზიანი დაეკისრება, თუ არ-

---

[224] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-179-172-2012.

[225] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1278-1298-2011.

[226] *Yatar E.K.M.,* Defamation, Privacy, and the Changing Social Status of Homosexuality: Re-Thinking Supreme Court Gay Rights Jurisprudence, 12 Law & Sexuality, 2003, 119.

[227] *Cameron M.,* Rivkin Settles Defamation Case, The Australian, 8 July, 2004, 18.

[228] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.

[229] *Tewkesbury D.,* The Role of Comparison Group Size in the Third-Person Effect, 14(3) International Journal of Public Opinion Research, 2002, 247.

[230] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1278-1298-2011.

[231] *Shah D.V.,* Susceptibility and Severity: Perceptual Dimensions Underlying the Third-Person Effect, 26(2) Communication Research, 1999, 240.

[232] *Jones E.E., Nisbett R.E.,* The Actor and the Observer: Divergent Perceptions of the Causes of Behavior, in EE Jones et al (eds) Attribution: Perceiving the Causes of Behavior, Lawrence Erlbaum, 1987, 79.

სებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი იმ შემთხვევაში დგება, როცა ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანია და, ამდენად, ანგარიშგასაწევი.[233] მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია მოქმედებით (უმოქმედობით) და რომელიც ხელყოფს მოქალაქის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს. მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად, ანუ როგორც ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, ისე – მისგან დამოუკიდებლად.[234]

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებულიირთითოეულ არგუმენტზერდეტალური პასუხის გაცემად.[235]

სასამართლოს თქმით, პირადი მიმოწერა, რომელიც შეიცავს უცენზურო, შეურაცხმყოფელ, მიუღებელ გამონათქვამებს და, ცხადია, არა მხოლოდ უსიამოვნო, არამედ შესაძლოა მტკივნეულადაც აღქმადიც იყოს ადრესატისათვის, თუმცა, სამართლებრივად არ ადგენს ისეთ შემთხვევას, რაც განაპირობებს სსკ-ის მე-18 მუხლისა და 413-ე მუხლების საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილებას და, მორალური ზიანის სახით, მოპასუხისათვის ფულადი თანხის დაკისრებას.[236]

გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, „საჯაროდ გავრცელება“ არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში.[237] ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს.[238]

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქსელის არსსა და დანიშნულებაზე. სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ „პროფაილი“), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან

233 *Hart J.D.,* Why Expert Testimony on the Meaning of Language has no Place in Libel Suits, in David A. Schulz, Libel & Newsgathering Litigation – Getting & Reporting the News, Practising Law Institute, 1998, 519.

234 *George P.,* Damages Survey for Defamation, paper presented at Media Law and Defamation seminar, Centre for Continuing Legal Education course, Faculty of Law, University of New South Wales, 14 March, 2003, 48.

235 ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, # 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

236 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1278-1298-2011.

237 *Glasser Ch.J., Jr (ed.),* International Libel & Privacy Handbook, 2nd edn, Bloomberg Press, 2009, 76.

238 *Magnusson R.,* Freedom of Speech in Australian Defamation Law:Ridicule, Satire and Other Challenges, 9 Torts Law Journal, 2001, 269.

დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს.[239]

არაქონებრივი უფლებების დაცვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში აბსოლუტური ხასიათის მატარებელია.[240] არაქონებრივი უფლებების დაცვა შესაძლებელია როგორც სამართლებრივი, ისე – მორალური ნორმების დარღვევისას.[241]

სსკ-ის მე-18 მუხლის მიზანია სწორედ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა, რა დროსაც სასარჩელო მოთხოვნის აღმძვრელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომლის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია და არა ის პირი, რომელიც ვარაუდობს, რომ მის მიმართ გავრცელდა ინფორმაცია ან გავრცელებულ ინფორმაციაში სწორედ ის იგულისხმებოდა.[242]

განხილული სასამართლო გადაწყვეტილება პასუხს სცემს თავში დასმულ კითხვებს, კერძოდ კი როცა რაიმე პოსტი გამოქვეყნდება სოციალურ ქსელში, მიუხედავად მისი შეზღუდული წრისადმი ნახვის შესაძლებლობისა, ეს უკანასკნელი მაინც ჩაითვლება გასაჯაროვებად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამგვარი ინფორმაციის გაჟღერება ხდება მხოლოდ პირად საუბარში, მაშასადამე ცილისმწამებლური ინფორმაციის გამჟღერებელსა და იმ პირს შორის ვისაც ეხება ეს უკანასკნელი, ასეთი საუბარი არ ჩაითვლება გასაჯაროვებად, იქამდე სანამ ამგვარი ინფორმაციის გამჟღერებელი არ გაასაჯაროვებს აღნიშნულ საუბარს. აქვე, აღსანიშვნია რომ თუ თავად ის ადამიანი, ვის მიმართაც არის გაჟღერებული ცილისმწამებლური ინფორმაცია, გაასაჯაროვებს პირად საუბარს, ეს უკანასკნელი ინფორმაციის გამჟღერებელს არ ჩაეთვლება გასაჯაროვებად.

ამდენად, ცილისწამების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მისი საჯარო ხასიათი. ასევე, ზემოთ დამუშავებული სასამართლო გადაწყვეტილება საინტერესო იყო კერძო პირების მიმართ სასამართლოს დამოკიდებულის წარმოჩენის თვალსაზრისით, რაც საბოლოოდ იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელეს ეკისრება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე ამტკიცოს შემდეგი:

ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;

ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;

გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მოსარჩელის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.[243]

---

[239] საქართველოს უზენაესი სასამარათლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1559-1462-2012.

[240] *McLeod D.M., Benjamin H Detenber, William P Eveland Jr,* Behind the Third-Person Effect: Differentiating Perceptual Processes for Self and Other, 51(4) Journal of Communication, 2001, 679.

[241] *Paul B., Salwen M., Dupagne M.,* The Third-Person Effect: A Meta-Analysis of the Perceptual Hypothesis, 3(1) Mass Communication & Society, 2000, 57.

[242] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 18, ველი 1, 7, 35.

[243] საქართველოს უზენაესი სასამარათლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1559-1462-2012.

## 5.2. სოციალურ ქსელში სახელისგამტეხი ფაქტის გავრცელებასთან დაკავშირებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც თავდაცვის მექანიზმის მიმართ არსებული თავისებურებები

სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება მაშინ, როდესაც მისი გამოუყენებლობა გააძნელებს და შეუძლებელს გახდის მოსარჩელეების სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ასევე მაშინ, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს და შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და აგრეთვე გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.[244]

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დიფამაციური დავების დროს განსაკუთრებული თავისებურებით შეიძლება წარმოჩინდეს, კერძოდ კი საუბარია სოციალურ ქსელში გავრცელებულ სახელისგამტეხ ფაქტებზე, რომელიც შეიძლება გამოქვეყნებული იყოს როგორც პირად გვერდზე, ასევე სხვის გვერდზე კომენტარის სახით. პირად გვერდზე გამოქვეყნებული პოსტის მიმართ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად შესაძლოა მოთხოვნილ იქნას პოსტის საჯაროობის შეზღუდვა.[245] საინტერესო კი ისაა, რომ ამგვარი მოთხოვნის სასამართლოს მხრიდან დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი შესრულება ევალება თავად მოპასუხეს. განსხვავებით სხვა უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან, თუ მაგალითად ვაყადაღებთ ქონებას, რომელსაც მოპასუხესთან შეუთანხმებლად აყადაღებს საჯარო რეესტრი, მოცემულ სიტუაციაში ასეთ შუალედურ რგოლს წარმოადგენს თავად მოპასუხე. მაშასადამე, მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული შეასრულებს თუ არა აღნიშნულს. ვერც სასამართლო და ვერც მოსარჩელე მხარე ვერ აიძულებს მოპასუხე მხარეს, რომ შეასრულოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და დაარედაქტიროს საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტი.

ვფიქრობ, ასეთ დროს უპრიანი იქნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილების შესახებ შესასრულებლად გაეგზავნოს არა მოპასუხეს, არამედ კონკრეტული სოციალური ქსელის ადმინისტრაციას და შემდეგ მათ უზრუნველყონ დიფამაციის შემცველი პოსტის რედაქტირების საკითხი.

რაც შეეხება უშალოდ სარჩელის აღსრულების ღონისძიების წარმართვის საკითხს, შეიძლება ორგვარად განხორციელდეს:

1) აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩართულობით;
2) სოციალური მედიის ან სოციალური ქსელის ადმინისტაციის ჩართულობით.

აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან თანამშრომლობა ცხადია, რომ სააღსრულებლო ფურცლის ჩაბარებით განხორციელდება, რაც შეეხება სოციალური მედიის ან სოციალური ქსელის ადმინისტაციის ჩართულობით გადაწყვეტილების აღსრულებას, აქაც საჭიროა ფორმალური წინაპირობების დაცვა და სააღსრულებლო ფურცლის დასკანერებული ვერსიის გაგზავნა, სხვა ენაზე თარგმნის შემთხვევაში კი ნოტარიალურად დამოწმებული ნათარგმნი ვერსიისა და თავად დედანი დოკუმენტის გაგზავნა.[246]

[244] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი.
[245] *ჯორბენაძე ს.*, „ცილისწამება სოციალურ მედიაში და უფლების დაცვის სამართლებრივი გზები", ჟურნალი: „ჩემი ადვოკატი", 2022.
[246] *ჯორბენაძე ს.*, „ცილისწამება სოციალურ მედიაში და უფლების დაცვის სამართლებრივი გზები", ჟურნალი: „ჩემი ადვოკატი", 2022.

ამ მიმართულებით ძალიან საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1192-2021, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის, მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს.[247]

საპროცესო სამართალი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან.[248] ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს.[249] სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს, ყოველთვის უნდა შეაფასოს, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ღონისძიება არის თუ არა შესაბამისობაში მოსარჩელის იმ მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება.[250]

გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.[251]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. სასამართლოს განმარტებით, ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ წევრი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა ძალაში შე-

[247] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1192-2021.
[248] *Milmo P., Rogers W.V.H., (eds),* Gatley on Libel and Slander, 11th edn, Sweet and Maxwell, 2008, 45.
[249] *Rolph D.,* Reputation, Celebrity and Defamation Law, Ashgate, 2008.
[250] *Salwen M.B., Dupagne M.,* The Third-Person Effect: Perceptions of the Media's Influence and Immoral Consequences, 26(5) Communication Research, 1999, 526.
[251] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 ივლისის საქმე №ას-939-2019.

სული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. მისი თქმით, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის" განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს, კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.[252]

სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფა წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების მნიშვნელოვან ინსტიტუტს და ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას.[253] იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად სამოქალაქო პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ პროცედურებთან არის დაკავშირებული, არსებობს რისკი, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დავის საგანი განადგურდეს, გასხვისდეს, უფლებრივად დაიტვირთოს ან სხვაგვარად შეეშალოს ხელი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას.[254] სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სწორედ ამ საფრთხეების პრევენციას ემსახურება.[255]

სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელება მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს წარმოადგენს, ამავე დროს, მართლმსაჯულების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული მექანიზმები, რომლებიც ემსახურება სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფას, ემსახურება უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ მიზანს – მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფას.[256]

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მოპასუხის მიმართ და/ან მის წინააღმდეგ, რათა მოსარჩელის კანონიერი ინტერესები მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედებისგან იყოს დაცული.[257]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.[258]

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებები, თუ დამუშაოვებული სამეცნიერო ლიტერატურა ნათელი მაგალითია იმისა თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად დიფამაციური სარჩელების მიმართ მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება და ზოგადად რა წინაპირობებია ამ პროცედურის წარმატებით ჩასატარებლად სასამართლოს მიერ დაწესებული.

---

252 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შპს „იზა" და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ.

253 *Tiedge J.T.,* Discrepancy Between Perceived First-Person and Perceived Third-Person Mass Media Effects, 1991, 61.

254 *Shah D.V.,* Susceptibility and Severity: Perceptual Dimensions Underlying the Third-Person Effect, 26(2) Communication Research, 1999, 240.

255 Prosser and Keeton on the Law of Torts, 5th edn, West Publishing, 1984, 98.

256 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-52.

257 *McNamara L.,* Reputation and Defamation, OUP 2007, 87.

258 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლი.

## 6. დასკვნა

დიფამაცია როგორც მიუღებელი შემოსავალი, საკმაოდ პრობლემური საკითხი აღმოჩნდა, რამაც მის აქტუალურობაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. კანონის დარღვევით განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა პასუხისმგებლობის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. განხილულ ნაშრომში იმ დარღვევების ფართო წრიდან, რომელსაც ყოველწუთიერად შეიძლება წავაწყდეთ, ყურადღება გამახვილდა დიფამაციის როგორც მიუღებელი შემოსავლის საკითხზე, კერძოდ: დიფამაციასა და ცილისწამებას შორის არსებულ მსგავსებებსა და განმასხვავებელ კრიტერიუმებზე; პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის განმარტებაზე და მათ მიმართ არსებულ ქართულ სასამართლო პრაქტიკაზე; სახელისგამტეხი ინფორმაციის ცილისწამებად მიჩნევის გამომრიცხავ გარემოებებზე; სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, როგორც არააბსოლუტური უფლების თავისებურებებზე; საფრანგეთსა და გერმანიაში დიფამაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე; დიფამაციით დამდგარი ზიანის სახეებზე, კერძოდ კი მიუღებელ შემოსავალზე და სოციალურ მედიაში სახელისგამტეხი ინფორმაციის გავრცელების გამოვლინებებსა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე.

ნაშრომის შექმნის პროცეში გამოყენებული კვლევის მეთოდებმა კი შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცა:

**ისტორიულ-სამართლებრივი –** კვლევის მეთოდის გამოყენებამ წარმოაჩინა, რომ დიფამაციის საკითხი ანტიკურ საბერძნეთსა და რომში იყო მოწესრიგებული. მისასალმებელია, რომ ეს საკითხი ქართული სამართლებრივი სივრცისთვისაც არ იყო უცხო, რაზეც მეტყველებს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი. კარგი იქნებოდა დღეს მოქმედი კანონმდებლობითაც განმარტებულიყო დიფამაცია და საკანონმდებლო ჩანაწერის დონეზე გამიჯნულიყო ცილისწამებისაგან, თუმცა აღნიშნულის ვერ განხორციელების მიზეზზე შემდეგ აბზაცშია საუბარი.

**დოკუმენტური** – კვლევის ფარგლებში შესწავლილმა სპეციალურმა კანონმდებლობამ, ლიტერატურამ და ანალიტიკურმა მასალამ ცხადყო, რომ დიფამაციის მიმართულებით სასურველი იქნებოდა უფრო მეტი ქართულენოვანი ლიტერატურა ან თუნდაც სტატიები შექმნილიყო. ამ მიმართულებით შედარებით უხვია სასამართლო გადაწყვეტილებები, რისი ფუნდამენტური დამუშავებაც, ვფიქრობ, კარგი წიგნის შექმნას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება დოკუმენტური კვლევის მეთოდიდან გაკეთებულ დასკვნას, უცხოურ კანონმდებლობასა და ანალიტიკურ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დიფამაციასა და ცილისწამებას შორის სხვაობა დიდია. აქვე, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ სხვაობის გაქრობა, დიდი ალბათობით, გამოიწვია საქართველოში ცილისწამების დეკრიმინალიზაციამ, რამაც საბოლოოდ ცილისწამება და დიფამაცია ტერმინოლოგიურად გაუტოლა ერთმანეთს, თუმცა ნაშრომში დოკუმენტური კვლევიდან გამომდინარე არგუმენტირებულად გამიჯნულია ერთმანეთისაგან დიფამაცია და ცილისწამება, რაც, სამწუხაროდ, პრაქტიკულ დანიშნულებას იქამდე ვერ შეიძენს, სანამ ცილისწამების კრიმინალიზაცია არ განხორციელდება.

**შედარებით სამართლებრივი** – კვლევის მეთოდიდან გამომდინარე მკითხველი დიფამაციისა და ცილისწამების მიმართულებით გაეცნო გერმანულ და ფრანგულ სამართლებრივ სისტემებსა და პრაქტიკას, საიდანაც ვასკვნით, რომ კარგი იქნებოდა გააზრებულიყო ცილისწამების, როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაულის მნიშვნელობა, რისი საქართველოში დეკრიმინალიზაციით მართალია მეტად გარანტირებული გახდა სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების უფლება, თუმცა აღნიშნულზე დაყრდნობით ადამიანის პატივისა და ღირსების

გამტეხი ინფორმაციის გავრცელების აკრძალვის დაწესების უგულებელყოფა მიუღებელია. ვფიქრობ, საფრანგეთის მსგავსად, უნდა არსებობდოს იმპერატიულად დაწესებული სანქციები, როგორც საჯარო, ისე ფიზიკური პირების მიმართ. ასევე იურიდიული პირების მიმართაც, რომელთაც გააჩნიათ სავაჭრო ბაზარზე სამსახურებრივი რეპუტაცია.

**სისტემური –** კვლევის მეთოდის გამოყენებამ უდიდესი დახმარება გასწია დიფამაციის როგორც მიუღებელი შემოსავლის მნიშნელობისა და პრობლემატიკის წარმოჩენის გააზრებაში. სისტემური კვლევის ფარგლებში დავასკვენით, რომ დიფამაციისა და ცილისწამების მიმართულებით არსებულმა სასამართლო პრაქტიკამ, კერძოდ კი 2014-2018 (18 ოქტომბრის მდგომარეობით) წლებში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ცილისწამებასთან დაკავშირებით ჯამში 16 გადაწყვეტილება მიიღო, რომელთაგან 6 შემთხვევაში გადაწყვეტილებით გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდა. მართალია, აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია ვიმსჯელოთ სრულ სურათზე, ვინაიდან სტატისტიკა მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას ეყრდნობა, თუმცა შეგვიძლია ზოგად ტენდენციებზე ვიმსჯელოთ, რომლის თანახმადაც, 2014-2018 (18 ოქტომბრის მდგომარეობით) წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცილისწამებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან 37.5% დასრულდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით, ხოლო 62,5 % აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლების დაცვით. რაც შეეხება ზიანის, როგორც ფაქტობრივი ისე მატერიალური, მათ შორის მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის დაკმაყოფილების კუთხით სასამართლოს პოზიციას, ძალიან მკაცრია, რადგან მოსარჩელემ ზედმიწევნით ზუსტად უნდა დაასაბუთოს დამდგარ ზიანს ან მიუღებელ შემოსავალსა და განხორციელებულ ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

### ბიბლიოგრაფია:


1. *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი", 2001. 463-464.
2. *კროპჰოლერი ი.*, (2014). გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი. თბ.: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 113.
3. *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, 411 მ. http://www.gccc.ge/ [15.06.2025].
4. *სურგულაძე ი.*, ქართული სამართლის ისტორია, 2014, 112.
5. *სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ.*, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი", 2016, 176–177.
6. *ძლიერიშვილი ზ., და სხვები*, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი", 2014, 653, 654.
7. *ჯორბენაძე ს.*, ცილისწამება სოციალურ მედიაში და უფლების დაცვის სამართლებრივი გზები, ჟურნალი: „ჩემი ადვოკატი", 2022.
8. *Amerasinghe A., Ranjit B.*, *Defamation in the Law of South Africa and Ceylon*, H.W. Cave, Colombo, 1969, 43-44.
9. *Arend P.S.*, Defamation in an Age of Political Correctness: Should a False Public Statement that a Person is Gay be Defamatory?, 18 *North Illinois University Law Review*, 1997, 99.
10. *Arend, Patrice S.*, Defamation in an Age of Political Correctness: Should a False Public Statement that a Person is Gay be Defamatory? 18 *North Illinois University Law Review*, 1997, 99.
11. *Balkin, R., Davis J.*, *Law of Torts*, 4th edn, LexisNexis, 2008. *Bezanson, Randall P. and Kathryn L. Ingle*, Plato's Cave Revisited: The Epistemology of Perception in Contemporary Defamation Law, 90(3) *Dickinson Law Review*, 1986, 585.

12. *Baudouin J.L.*, *La responsabilité civile délictuelle.* 3e éd. Cowansville: Y. Blais, 1990. 838, 162–164.
13. *Brosius H., Dirk E.*, The Causes of Third-Person Effects: Unrealistic Optimism, Impersonal Impact, or Generalized Negative Attitudes Towards Media Influence?, 8(2) *International Journal of Public Opinion Research*, 1996, 142.
14. *Calvert C.*, Awareness of Meaning in Libel Law: An Interdisciplinary Communication & Law Critique, 16 *The Northern Illinois University Law Review*, 1995, 111.
15. *Calvert C.*, Harm to Reputation: an Interdisciplinary Approach to the Impact of Denial of Defamatory Allegations, 26 *Pacific Law Journal*, 1995, 933.
16. *Calvert C.*, The First Amendment and the Third Person: Perceptual Biases of Media Harms & Cries for Government Censorship, 6 *CommLaw Conspectus*, 1998, 165.
17. *Cameron M.*, Rivkin Settles Defamation Case, *The Australian*, 8 July, 2004, 18.
18. *Christian H.*, Social Reputation: A Mechanism for Flexible Self-Regulation of Multiagent Systems, 10 *Journal of Artificial Societies & Social Simulation*, 2007.
19. *Cohen, Jeremy et al.*, Experimental Test of Some Notions of the Fact/Opinion Distinction in Libel, 66 *Journalism Quarterly*, 1989, 11.
20. *Combined Media Defamation Reform Group*, Submission in Response to “Outline of Possible National Defamation Law”, Attorney-General’s Discussion Paper – March 2004, May 2004.
21. *Culbertson H.M., Stempel G.H.*, ‘Media Malaise: Explaining Personal Optimism and Societal Pessimism about Health Care, 35(2) *Journal of Communication*, 1985, 180.
22. *David P., Johnson M.*, The Role of Self in Third-Person Effects about Body Image, 48(4) *Journal of Communication*, 1998, 37.
23. *Davison, W. Phillips*, The Third-Person Effect Revisited, Summer, 8(2) *International Journal of Public Opinion Research*, 1996, 2.
24. *Davison, W.*, The Third-Person Effect in Communication, 47 *Public Opinion Quarterly*, 1983, 1.
25. *De Visser R.*, Heterosexual Experience and Recent Heterosexual Encounters Among a Representative Sample of Adults, 27(2) *Australian and New Zealand Journal of Public Health*, 2003, 146.
26. *Dent Ch.*, Defamation Law’s Chilling Effect: a Comparative Content Analysis of Australian and US Newspapers, 9(2) *Media & Arts Law Review*, 2004, 89.
27. *Donoghue D.*, *England, their England: Commentaries on English Language and Literature*, University of California Press, 1989, 56.
28. *Driscoll P.D.*, *Salwen M.B.*, Self-Perceived Knowledge of the OJ Simpson Trial: Third-Person Perception and Perceptions of Guilt, 74 *Journalism & Mass Communication Quarterly*, 1997, 541.
29. *Eisenberg J.*, Abbott, Kennett and Costello, 1999, 153 *Communications Update* 19. *Eldridge, Laurence H.*, *Law of Defamation* Bobs-Merrill Co., Indianapolis, 1978, 45.
30. *Eveland Jr., William P.*, *Douglas M.*, The Effect of Social Desirability on Perceived Media Impact: Implications for Third-Person Perceptions, 11 *International Journal of Public Opinion Research*, 1999, 315.
31. *Fleming J.G.*, *The Law of Torts*, 9th edn, Thomson Reuters, 1998.
32. *Frederick G.B.*, Gifts and Poison, in Gifts and Poison: The Politics of Reoutation, 1, 4, F.G. Bailey ed., 1971.
33. *Fricke G.L.*, The Criterion of Defamation, 32 *Australian Law Journal*, 1958, 7.
34. *Gashi H.*, Acquisition and Loss of Ownership Under the Law on Property and Other Real Rights (LPORR): The Influence of the BGB in Kosovo Law, 2013, 88–89.
35. *George P.*, Damages Survey for Defamation, paper presented at *Media Law and Defamation* seminar, Centre for Continuing Legal Education course, Faculty of Law, University of New South Wales, 14 March 2003, 48, 56.
36. *Glasser Ch.J. Jr.* (ed.), *International Libel & Privacy Handbook*, 2nd edn, Bloomberg Press, 2009, 76.

37. *Glynn C.J.*, *Ostman R.E.*, Public Opinion about Public Opinion, 65 *Journalism Quarterly*, 1988, 299.
38. *Glynn C.J.*, *Haynes A.F.*, *Shanahan J.*, Perceived Support for One's Opinions and Willingness to Speak Out: A Meta-Analysis of Survey Studies on the "Spiral of Silence", 61 *Public Opinion Quarterly*, 1997, 452, 58.
39. *Gunther A.C.*, What We Think Others Think: Cause and Consequence in the Third-Person Effect, 18(3) *Communication Research*, 1991, 355.
40. *Harkess J.*, A Linguistic Inspection of the Law of Defamation, *Auckland University Law Review*, 1998, 653.
41. *Hart J.D.*, Why Expert Testimony on the Meaning of Language has no Place in Libel Suits, in *David A. Schulz*, *Libel & Newsgathering Litigation – Getting & Reporting the News*, Practising Law Institute, 1998, 510, 517, 519.
42. *Heider F.*, *The Psychology of Interpersonal Relations*, Routledge, 1958, 23.
43. *Heine S.J.*, *Lehman D.R.*, Cultural Variation in Unrealistic Optimism: Does the West Feel More Invulnerable than the East?, 68 *Journal of Personality and Social Psychology*, 1995, 595.
44. *Hrysanthos D.*, The Digitization of Word of Mouth: Promise and Challenges of Online Feedback Mechanisms, 49 *Management Science*, 2003, 1407, 36.
45. *Human Rights and Equal Opportunity Commission*, *Same-Sex: Same Entitlements*, Commonwealth of Australia, Canberra, 2007, 77.
46. *Jones E.E.*, *Nisbett R.E.*, The Actor and the Observer: Divergent Perceptions of the Causes of Behavior, in *E.E. Jones et al.* (eds), *Attribution: Perceiving the Causes of Behavior*, Lawrence Erlbaum, 1987, 79.
47. *Judith D.*, Signals in Social Supernets, 13 *Journal of Computer-Mediated Communication*, 2007, 12, 14.
48. *Kenyon A.T.*, *Defamation: Comparative Law and Practice*, OUP, 2006, 121.
49. *Kim Y.*, *Ahn J.*, *Song J.*, Perceived Media Influence on Self and Others on a Controversial Issue, paper presented at the meeting of the *International Communication Association*, Chicago, May 1991, unseen, cited in *Dominic L. Lasorsa*, Policymakers and the Third-Person Effect, in *J. David Kennamer* (ed.), *Public Opinion, The Press and Public Policy*, 1992, 163, 170.
50. *Koster*, 1980, 38. *Opelt*, 1965, 13.
51. *Krasnostein S.*, Defamation Law and the Fairness of the Objective Test, 23(4) *Communications Law Bulletin*, 2004, 6.
52. *Kundu A.*, Defamation, Reputation and the Community: an Analysis of the Doctrine of Presumed Harm in Defamation Law, 10(1) *Media & Arts Law Review*, 2005, 53.
53. *Lasorsa D.L.*, Real and Perceived Effects of "Amerika", 66 *Journalism Quarterly*, 1989, 373.
54. *Lexis N.*, *Australian Defamation Law & Practice*. *Barnett L.L.*, Defamation, Reputation, and the Myth of Community, 71(1) *Washington Law Review*, 1996, 1.
55. *Liebermann*, 1998, 1050. *Nisbet*, 1961, 192.
56. *Lik M.*, Notions of Reputation in Multi-Agents Systems: A Review, in *Proceedings of the First International Joint Conference on Autonomous Agents and Multiagent Systems: Part 1*, Bologna, Italy, July 15-19, 2002, 78.
57. *Magnusson R.*, Freedom of Speech in Australian Defamation Law: Ridicule, Satire and Other Challenges, 9 *Torts Law Journal*, 2001, 269.
58. *Mason L.*, Newspaper as Repeater: An Experiment on Defamation and Third-Person Effect, Autumn, 72(3) *Journalism and Mass Communication Quarterly*, 1995, 610.
59. *Mason L.*, Newspaper as Repeater: An Experiment on Defamation and Third-Person Effect, Autumn, 72(3) *Journalism and Mass Communication Quarterly*, 1995, 610.
60. *McCraw D.*, How do Readers Read? Social Science and the Law of Libel, 41 *Catholic University Law Review*, 1991, 81.

61. *McLeod D.M.*, *Detenber B.H.*, *Eveland Jr. W.P.*, Behind the Third-Person Effect: Differentiating Perceptual Processes for Self and Other, 51(4) *Journal of Communication*, 2001, 679.
62. *McNamara L.*, Bigotry, Community and the (In)visibility of Moral Exclusion: Homosexuality and the Capacity to Defame, 6(4) *Media & Arts Law Review*, 2001, 271.
63. *McNamara L.*, *Reputation and Defamation*, OUP, 2007, 67, 87.
64. *Milmo P.*, *Rogers W.V.H.* (eds), *Gatley on Libel and Slander*, 11th edn, Sweet and Maxwell, 2008, 45, 502.
65. *Müller*, 1913, 492–502; *Miniconi*, 1959, 159–175.
66. *Mutz D.C.*, The Influence of Perceptions of Media Influence: Third Person Effects and the Public Expression of Opinions, 1989, 1.
67. *Nadeau A.*, *Nadeau R.*, *Traité pratique de la responsabilité civile délictuelle*. Montréal: Wilson & Lafleur, 1971. 732, 248.
68. *Patrick G.*, Damages Survey for Defamation, paper presented at *Media Law and Defamation* seminar, Centre for Continuing Legal Education course, Faculty of Law, University of New South Wales, 14 March 2003.
69. *Paul B.*, *Salwen M.*, *Dupagne M.*, The Third-Person Effect: A Meta-Analysis of the Perceptual Hypothesis, 3(1) *Mass Communication & Society*, 2000, 57.
70. *Perloff R.M.*, Perceptions and Conceptions of Political Media Impact: The Third-Person Effect and Beyond, in *Ann N. Crigler* (ed.), *The Psychology of Political Communication*, The University of Michigan Press, 1996, 197.
71. *Perloff R.M.*, Perceptions of “Amerika”, 19 *Mass Communication Review*, 1992, 42.
72. *Pineau J.*, *Ouellette M.*, *Théorie de la responsabilité civile*. 2e éd. Montréal: Éd. Thémis, 1980, 237, 62, 63, 64.
73. *Pound R.*, Interests of Personality, 28(4) *Harvard Law Review*, 1915, 343.
74. *Price D.*, *Cain N.*, *Duodu K.*, *Defamation Law, Procedure and Practice*, 4th edn, Sweet & Maxwell, 2009, 54.
75. *Prosser W.*, *Keeton W.P.*, *Prosser and Keeton on the Law of Torts*, 5th edn, West Publishing, 1984, 98.
76. *Rissel Ch.*, Attitudes Towards Sex in a Representative Sample of Adults, 27(2) *Australian and New Zealand Journal of Public Health*, 2003, 118.
77. *Rivard A.*, *Calvert C.*, Awareness of Meaning in Libel Law: An Interdisciplinary Communication & Law Critique, 16* *The Northern Illinois University Law Review*, 1995, 111. *De la liberté de la presse*, Montréal: Garneau, 1923, 125, 67.
78. *Robin D.U.*, Grooming, Gossip and the Evolution of Language, 171–74, 1996, 37.
79. *Rolph D.*, *Reputation, Celebrity and Defamation Law*, Ashgate, 2008.
80. *Rolph D.*, *Vitins M.*, *Bannister J.*, *Media Law: Cases, Materials and Commentary*, OUP, 2010, 42, 43, 5, 87.
81. *Salwen M.B.*, *Dupagne M.*, The Third-Person Effect: Perceptions of the Media’s Influence and Immoral Consequences, 26(5) *Communication Research*, 1999, 526, 523.
82. *Shah D.V.*, Susceptibility and Severity: Perceptual Dimensions Underlying the Third-Person Effect, 26(2) *Communication Research*, 1999, 240.
83. *Siegfried J.*, Sprachliche Gewalt gegenüber Minderheiten: Formen der sprachlichen Diffamierung in den Medien und im politischen Diskurs, in: *Der Deutschunterricht*, 59, 5, 2007, 11, 21.
84. *Simon G.*, *Herrmann B.*, Human Cooperation From an Economic Perspective, in *P. Kappeler* & *C.P. van Schaik* (eds.), *Cooperation in Primates and Humans*, 2006, 279, 31.
85. *Sprankling J.*, *The International Law of Property*, Oxford University Press, 2014, 111.
86. *Standley T.C.*, Linking Third-Person Effect and Attribution Theory, unpublished Master’s thesis, Southern Methodist University, Dallas, Texas, cited in *Paul B.*, *Salwen M.*, *Dupagne M.*, The Third-

Person Effect: A Meta-Analysis of the Perceptual Hypothesis, 3(1) *Mass Communication & Society*, 2000, 57.
87. *Tewkesbury D.*, The Role of Comparison Group Size in the Third-Person Effect, 14(3) *International Journal of Public Opinion Research*, 2002, 247.
88. *Tiedge J.T.*, Discrepancy Between Perceived First-Person and Perceived Third-Person Mass Media Effects, 1991, 61.
89. *Treiger-Bar-Am L.K.*, Defamation Law in a Changing Society: the Case of Youssoupoff v Metro-Goldwyn Mayer, 20 *Legal Studies*, 2000, 291.
90. *Vallières N.*, *La presse et la diffamation: rapport soumis au ministère des Communications du Québec*, Montréal: Wilson & Lafleur, 1985, 138, 6–8, 10, 49, 52, 58, 90.
91. *Ven-hwei Lo W.*, Third-Person Effect, Gender, and Pornography on the Internet, 46(1) *Journal of Broadcasting & Electronic Media*, 2002, 13.
92. *Von Vechten V.*, The History and Theory of the Law of Defamation II, 4 *Columbia Law Review*, 1904, 33, 33.
93. *Willnat L.*, Perceptions of Foreign Media Influence in Asia and Europe: The Third-Person Effect and Media Imperialism, 2002, 14(2).
94. *Yatar E.K.M.*, Defamation, Privacy, and the Changing Social Status of Homosexuality: Re-Thinking Supreme Court Gay Rights Jurisprudence, 12 *Law & Sexuality*, 2003, 119.
95. *Zimmerman D.L.*, Curbing the High Price of Loose Talk, 18(2) *UC Davis Law Review*, 1985, 359.
96. *Zimmermann R.*, *Whittaker S.*, *Good Faith in European Contract Law*, Cambridge: Cambridge University Press, 2000, 87.
97. <https://www.anwalt.org/diffamierung/> [20.05.2025].
98. <https://www.dahag.de/c/ratgeber/strafrecht/diffamierung> [20.05.2025].
99. <https://www.justifit.fr/b/guides/droit-penal/diffamation/> [20.05.2025].
100. <https://www.laloi.ca/quest-ce-que-de-la-diffamation/> [20.05.2025].
101. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=7> [20.05.2025].
102. <https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/bladet-tromso-and-stensaas-v-norway/> [20.05.2025].
103. <http://www.gccc.ge> [20.05.2025].
104. <https://temida.ge/fullcase/2691/--.pbn> [20.05.2025].
105. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba7.pdf> [20.05.2025].
106. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba7.pdf> [20.05.2025].
107. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/dichand-and-others-v.-austria.pdf> [20.05.2025].
108. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba7.pdf> [20.05.2025].
109. <https://temida.ge/fullcase/2944/--.pbn> [20.05.2025].
110. <https://temida.ge/fullcase/3826/--.pbn> [20.05.2025].
111. <https://temida.ge/fullcase/2893/--.pbn> [20.05.2025].
112. <https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/bladet-tromso-and-stensaas-v-norway/> [20.05.2025].
113. <https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/bladet-tromso-and-stensaas-v-norway/> [20.05.2025].
114. <https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/case-of-kasabova-v-bulgaria/> [20.05.2025].
115. <https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-61861%22]}> [20.05.2025].
116. <https://www.zmogausteisiugidas.lt/en/case-law/tolstoy-miloslavsky-v-the-united-kingdom> [20.05.2025].